პროლეტარებო მთელი ქვეყნის შეერთდით!

[illegible]

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ, გ. წ. არ. და
მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 9-დან 10 საათამდე

ტელეფონი { 14—76. რედაქტორის. 10—58. მდივნის.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პრ. № 25,
ტელეფონი 10—49,

წლის მოწერის თვიური ფასი: მუშა მოსამსახურეებისათვის 65 კ. დანარჩენებისათვის ქალაქში 85 კაპ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—95 კაპ. 20 კაპ. ხელფასით მომბარებლის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. [illegible] განცხადებები მეორე ნომერში მიიღება მხოლოდ 2 აათ

№ 113 (968) სამშაბათი, 20 მაისი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კაპ. (500 მილ.) № 113 (968)

დღიური

- გაიხსნა ინგლისის კომპარტიის კონგრესი.
- რუმინეთში ჩავიდა იაპონიის [illegible]
- თურქეთის მთავრობა შეუდგა [illegible] შეკვეთებს.
- ჩინეთში იზრდება უკმაყოფილება ინგლისის წინააღმდეგ.
- ინგლისის ჯარი შევიდა ტიბეტში.
- რუმინეთში გლეხთა მღელვარება ფართოვდება.

წითელი ჯარისათვის

საქართველოს მშრომელ ხალხს

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! ამ დღეებში გამოცხადდება 1902—3 წ. წ. დაბადებულთა ქართულ წითელ ლაშქარში გაწვევა.

რევოლიუციონური წითელი ლაშქრის რიგები სოფლისა და ქალაქის ახალგაზრდა მუშებმა უნდა შეავსონ და მით უზრუნველყონ სოციალისტური რესპუბლიკები გარეშე თუ შინა კონტრ-რევოლიუციის თავდასხმისაგან.

წითელი ჯარი წარმოიშვა, გაიზარდა და გაჯანსაღდა როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური ცოდნის მხრივ მუშათა კლასის ბრძოლის პროცესში.

მისი პირველი აკვანი ეს რუსეთია, რომლის მუშებმა და გლეხებმა შექმნეს ძლევამოსილი წ. ჯარი რევოლიუციის მონაპოვართა დასაცველად და მტრების შესამუსრავად. თქვენ დაინახეთ და გრძნობდით, თუ როგორ იბრძოდა მუშებისა და გლეხების ჯარი, როდესაც მათ წინააღმდეგ იმპერიალისტურ ქვეყნების კორპუსები და დივიზიები დაირაზმა და იერიში მოჰქონდათ რუსეთის კონტრრევოლიუციონერების დახმარებით და ლოცვა-კურთხევით.

რიცხვით მრავალი, სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფილი, კბილებიდან ფეხებამდე შეიარაღებული იმპერიალისტური არმია უკუაგდო შრომის ღვიძლმა შვილმა, წითელმა ჯარმა. ასეთ პირობებში ასეთი მარცხი მტრების და ჩვენი გამარჯვება ჯერ კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს. ეს იმიტომ, რომ წითელი ჯარი უპირველეს ყოვლისა ღვიძლი შვილია მუშების და გლეხების.

ეს იმიტომ, რომ დღეს მუშები მთავრობაა, მთავრობა იგივე მუშებია.

წითელმა ჯარმა იცოდა და იცის, რომ ის თავის საკუთარ საქმეს აკეთებს; მან იცის, რომ თავისი სისხლით და ხორცით უნდა დაიცვას მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოები, რომლებიც ატარებენ ცხოვრებაში მშრომელთა ხალხის საკეთილდღეოთ რევოლიუციონურ პრინციპებს და კანონებს, რომლებიც ერთგულად და შეურყევლად ებრძვიან დრომოჭმულ კაპიტალის წარმოებას და ნიადაგს უმზადებენ ახალს, სოციალისტურ წარმოებას და თანამშრომლობას.

წითელმა ჯარმა იცის, რომ საბჭოების დამარცხება ეს ძველი წყობილების აღდგენაა, მიწების დაბრუნება მემამულეებისათვის, ფაბრიკა-ქარხნების და ყველა წარმოების ერთი მუჭა კაპიტალისტის ხელში გადასვლაა.

საბჭოების დამარცხება—ეს მუშათა და გლეხთა დამარცხებაა, მუშების და გლეხების პოლიტიკურად და ეკონომიურად მონობაა.

საბჭოების დამარცხება—ეს ძალა-უფლების მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელში გადასვლაა. იცის რა ყველა ეს წითელმა ჯარმა—ამიტომ ის უძლეველი და სახელოვანი დარაჯია მუშათა ინტერესებისა, ჩვენი ჯარის სახელი და მოგონება შიშის ზარს სცემს ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, მათ ჯარს და სარდლობას.

მუშებო და გლეხებო! მხოლოდ წითელ ჯარს შეუძლია საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება; საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება კი ერთი უდიდესი გარანტიაა ეკონომიური წინმსვლელობის, ქვეყნის კულტურულად განვითარებისა ყოველივე ომის, შუღლის და მტრობის მოსპობისა და სოციალიზმის განხორციელებისა.

რუსეთის დიდმა ოქტომბრის რევოლიუციამ და ექვსი წლის სამოქალაქო ომმა ნათლად დაგვანახა, რომ მუშათა კლასის გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება მაშინ, როდესაც მას ეყოლება თავისი გამობრძმედილი ჯარი.

ჯერ კიდევ, როდესაც გარშემორტყმული ვართ ურიცხვი მტრებით, რომლებიც ცდილობენ ჩვეულებისამებრ გამოსწიონ ჩვენს წინააღმდეგ თავიანთი ბინძური ხელები, ჩვენ გვესაჭიროება მუშათა და გლეხთა მშვიდობიანი აღმშენებლობითი საქმისათვის ფოლადისებური, რევოლიუციონური ცეცხლით გულში ანთებული და მჭრელი [illegible] ხელში, გაწვრთნილი დარაჯი, წითელი ჯარი.

ამ ჭეშმარიტებას თქვენ, მშრომელო ხალხო, თვით ხედავთ და გრძნობთ და მშრომელთა ხელისუფლება დარწმუნებულია იმაში, რომ ერთთავიანობით და ერთსულოვნებით შეავსებთ წითელ ლაშქრის რიგებს.

ქართული წითელი ჯარი, აღზრდილი სოციალისტური იდეით, ერთი რაზმთაგანი იქნება კომუნისტური ინტერნაციონალური ჯარის, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკების დაცვაში დაამტკიცებს, თუ როგორ უნდა ბრძოლა კომუნისტური იდეალებისათვის.

საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ღრმად სწამს, რომ ახლად გაწვეულნი სულ მოკლე ხანში ჩვენს წითელ ყაზარმებში მიიღებს შესაფერ სამხედრო ცოდნას და გონებრივ განვითარებას, რის შემდეგ ეს იდეით, პოლიტიკური ცოდნით აღჭურვილნი, საბჭოთა წყობილების დაცვაში დაინტერესებულნი, დაუბრუნდებიან თავიანთ ოჯახებს და ჩადგებიან სოფლისა და ქალაქის მუშების მოწინავე რიგებში მშრომელთა ხალხის საკეთილდღეოთ.

დიდება და სალამი წითელ ჯარს და მის სარდლობას!

გაუმარჯოს დიდ ინტერნაციონალურ წითელ ჯარის ერთ რაზმს საქართველოს წითელ არმიას!

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სალამი ჯარში ახლად გასაწვევთ!

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.
სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი პ. საგაშვილი.

ა.კ. პროფკავშირთა ყრილობის შედეგები

რამოდენიმე დღის მუშაობის შემდეგ დაიხურა ა.—კ. პროფესიონალური კავშირების ყრილობა. ყრილობაზე განხილული იქნა ა.—კ. პროფესიონალური მოძრაობის მიმდინარე [illegible] საკითხები და გამოტანილ იქნა დადგენილებები, რომლებიც ცვლილება შეაქვთ ამიერ კავკასიის პროფესიონალური კავშირების [illegible].

ყრილობამდის ა.—კ. პროფესიონალური მოძრაობის ხელმძღვანელი რუსეთის პროფკავშირების საბჭოს ამიერ კავკასიის პროფესიონალური კავშირების ბიურო. ყრილობის დადგენილებით ბიურო ისპობა და მაგიერ [illegible] იქნება ამიერ კავკასიის პროფესიონალური კავშირების საბჭო. ეს ნიშნავს იმას, რომ პროფესიონალური მოძრაობის ხელმძღვანელობა ამიერ კავკასიის მასშტაბით უფრო გაძლიერდება და გამოცოცხლდება. აქამდე არსებული ბიურო, როგორც რუსეთის პროფესიონალური კავშირების საბჭოს წარმომადგენელი ორგანო, ასრულებდა უფრო ზედამხედველის, ვიდრე ხელმძღვანელის როლს.

საბჭოს შექმნით არ უქმდებიან აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის პროფკავშირების საბჭოები. პირიქით, მათი როლი, როგორც ნაციონალური პროფესიონალური მოძრაობის ხელმძღვანელების, უნდა გაძლიერდეს. ნაციონალურ პროფესიონალური მოძრაობის გაძლიერების საკითხი სდგას არა მარტო ამიერ-კავკასიის მასშტაბით, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. რუსეთის პროფესიონალური კავშირების მომავალ ყრილობაზე ეს საკითხი ცალკე არის დასმული. მის წამოყენებას წინ უძღოდა რამდენიმე თათბირი. მის კვეში უკანასკნელ თათბირზე, სადაც მოწვეული იყვნენ ნაციონალური რესპუბლიკების პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენლები, მიღებულ იქნა საკავშირო მასშტაბით პროფესიონალურ კავშირების სქემა, რომლის მიხედვით რუსეთის პროფკავშირების ცენტრ. საბჭო უნდა გადაკეთებულ იქნას საბჭოთა კავშირის პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ საბჭოთ. უკრაინაში, ბელორუსიაში, ამიერ-კავკასიაში, თურქესტანში და სხვა ნაციონალურ რესპუბლიკებში უნდა მოეწყოს პროფესიონალურ კავშირების რესპუბლიკანური საბჭოები, რომლებიც უშუალოდ იქნებიან დაკავშირებული საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან.

ამიერ კავკასიის მასშტაბით ეს საკითხი ნაწილობრივად უკვე გადაჭრა ა.-კ პროფკავშირების მე 3 ყრილობამ. საბოლოოდ ეს საკითხი გადაწყდება საბჭოთა კავშირის პროფესიონალური კავშირების ახლო მომავალ ყრილობაზე.

ორგანიზაციულ საკითხში ყრილობამ მიიღო დადგენილებები, რომლებიც უმთავრეს ყურადღებას აქცევენ კავშირის წევრთა შორის მუშაობის გაძლიერებას. მუშაობის სიმძიმე უნდა გადატანილი იქნას კავშირების ძირითად უჯრედებში—საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებში, სადელეგატო სხდომებზე და საერთო კრებებზე ძირითად უჯრედებში არ უნდა ჰქონდეს ადგილი მუშაობის ბიუროკრატიულ წესებს, ძირითადი უჯრედი უნდა გახდეს მასსის თვით-მოქმედი ორგანოთ საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტი უნდა განთავისუფლებული იქნას კანცელარიულ ადმინისტრატიული მუშაობისაგან (სხვადასხვა მოწმობების მიცემა)

უნდა მიექცეს უფრო მეტი ყურადღება კერძო წარმოებებში ჩაბმულ მუშა მოსამსახურეთ, რომელთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

ყრილობამ საჭიროთ სცნო გაძლიერებულ იქნას მუშაობა სოფლის პროლეტარიატში. მიწა ტყის კავშირმა თავისი მუშაობა უნდა გადაიტანოს სოფლად—მეურნეობის (ბატრაკების) ჩასაბმელათ კავშირში.

მიღებულ იქნა აგრეთვე დადგენილება საინჟინერო ტეხნიკურ ძალების შეკავშირების და საერთო პროფესიონალურ მოძრაობაში ჩაბმის შესახებ.

ეკონომიური მუშაობის სფეროში ყრილობამ დაადგინა გააძლიეროს კავშირების მუშაობა წარმოების შესასწავლად, რათა შესაძლებელი იქნას წარმოების მოწყობა უფრო მიზანშეწონილათ. მუშათა კონტროლმა ხელახლა უნდა დაიჭიროს სათანადო ადგილი. ამ საქმეში უნდა ჩაიბას მუშების ფართო მასსები და დახმარება აღმოუჩინოს სხვა და სხვა საინიციატივო ჯგუფებს (მეცნიერული შრომის ორგანიზაციის, დროის ლიგის და სხ.), რომელთაც დასახული აქვთ მიზნათ შრომის რაციონალური ორგანიზაცია.

შრომის ხელფასის საკითხში ყრილობამ აღნიშნა, რომ ფულის რეფორმის გამო სამუშაო ხელფასის რეალურ ღირებულების მერყეობას აღარ ექნება ადგილი ამიტომ საჭიროთ იქნა ცნობილი კოლექტიურ ხელშეკრულებებში მტკიცე განაკვეთებზე გადასვლა. ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფულის რეფორმის დამთავრებამდე, შეუძლებელია ახლა არსებულ ხელფასის რეალურ დონის გადიდება. ხელფასის შემდეგი ზრდა უნდა დაკავშირებულ იქნას შრომის ნაყოფიერების ზრდასთან. სანარდო მუშაობის ნორმები უნდა იქნან გადასინჯული და გადიდებული. მუშების დაყოფა სატარიფო კატეგორიებად უნდა ხდებოდეს უფრო სწორად, ვიდრე აქამდე ამა თუ იმ კატეგორიაზე მიკუთვნების დროს უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში სათანადო კვალიფიკაცია. მიზანშეწონილად იქნა ცნობილი სატარიფო ცხრილის შემოღება, სადაც პირველი კატეგორია უმაღლეს კატეგორიასთან არის დამოკიდებულებაში, ხელფასის მხრივ, როგორც ერთი რვასთან. (1 8).

ყრილობა შეეხო სპეცების ჯამაგირებსაც და აღნიშნა, რომ საჭიროა სპეცების ჯამაგირები მიეცეთ მხოლოდ ნამდვილ სპეცებს. ამასთანავე ამ ჯამაგირების რაოდენობის განსაზღვრა უნდა ხდებოდეს ამ დარგში არსებულ მუშათა ხელფასის რაოდენობასთან შეფარდებით.

დადგენილ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ ზოგიერთ კატეგორიების ხელფასის მინიმუმის გადიდება.

კულტურულ მუშაობის დარგში—ყრილობამ დაადგინა, რომ კავშირებმა ყურადღება მიაქციონ წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციას, საქარხნო და ინდივიდუალურ მოწაფეობის საქმის ფართოდ დაყენებას დახელოვნებულ მუშათა კადრის შესაქმნელად, კლუბების გაძლიერებას და სხ. საჭიროთ იქნა ცნობილი პროფესიონალური მუშაკების მოსამზადებლად პროფესიონალური კურსების მოწყობა პარტიულ სკოლებთან.

ყრილობამ მიიღო დადგენილება შრომის კომისარიატის მუშაობის შესახებ, სადაც აღნიშნულია კომისარიატის მუშაობის ცალკე დარგები, რომელთაც უნდა მიექცეს ყურადღება.

ამ გადაწყვეტილებათა გატარება ცხოვრებაში მოსახერხებელი იქნება ყველა კავშირების დახმარებით და უშუალო თანდათანი მუშაობით. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახალი ცენტრის ხელმძღვანელობით ჩვენი კავშირები გაატარებენ ცხოვრებაში მათი ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ინგლისი და საფრანგეთი

საერთაშორისო ომის დროს საფრანგეთი და ინგლისი ხელი ხელ ჩაკიდებულნი იბრძოდენ ამ ორმა დიდმა იმპერიალისტურმა სახელმწიფომ პატარა სახელმწიფოები შემოიკრიბეს თავის გარშემო. შექმნეს ოდესღაც ძლიერი ბურჟუაზიული კავშირი—ეგრეთწოდებული „ანტანტა“ სახელწოდებით. მაგრამ თანდათან გაძლიერდა მათ შორის შური და მტრობა.

ამან იქონია შესაფერი გავლენა დიდ იმპერიალისტურ კავშირზე—ანტანტაზე. ანტანტის სხეულს ნელნელა სიკვდილის ბაცილები შეეპარა. დღეს თითქმის ხსენებაც არ არის ამ ოდესღაც სახელ განთქმულ კაპიტალისტების „სადღეგრძელო კავშირის“ შესახებ. ისტორია ამ მოვლენას უმთავრესად ინგლისის საფრანგეთის უთანხმოებას უნდა უმადლოდეს.

მაგრამ განსაკუთრებით გამწვავდა და გართულდა საფრანგეთისა და ინგლისის განწყობილება ორ საკითხის გადაჭრაში. გერმანიისა და საბჭოთა კავშირის საკითხება სულ სხვა და სხვა გამოძახილს პოულობდა საფრანგეთისა და ინგლისის მმართველ პოლიტიკურ წრეებში.

როგორც ვიცით, საფრანგეთმა დაიპყრო გერმანიის მნიშვნელოვანი ნაწილი—რურის ოლქი. ამით პუანკარეს სურდა ორნაირი სარგებლობა მოეტანა საფრანგეთის ბურჟუაზიისათვის ერთი—გერმანიის ეკონომიურად და პოლიტიკურად დაუძლურება, და მეორე—საფრანგეთის მრეწველობის უზრუნველყოფა რურის ქვანახშირით. მიაღწია ამ მიზანს საფრანგეთმა თუ არა—ეს სხვა საკითხია. ხოლო ცხადი შეიქნა ის გარემოება, რომ საფრანგეთის ამ მიზანს ინგლისი წინ გადაეღობა. ეს მოხდა სტიქიურად. „პოლიტიკური მექანიკა“ და სახელმწიფოს ეკონომიური ფინანსიური ინტერესები სავსებით არ უშვებს ანგარიშში ვინმეს სურვილებს, ზრახვებს, იმედებს. ინგლისმა გაამართლა ეს მოსაზრება.

რურის ოკუპაციის მეორე დღესვე ინგლისი ეკონომიურად დაუკავშირდა გერმანიას. მაგ. ნახშირის გაზიდვა ინგლისიდან გერმანიაში 45—50 პროცენტით გადიდდა, ხოლო შემდეგ ხანებში კი უფრო საგულისხმოთ. საფრანგეთს სურდა გერმანიისათვის კისერი მოეგრიხა ნახშირით მდიდარი რაიონების დაპყრობით. ინგლისი გამოჩნდა აქ გერმანიის ქომაგი. მან გერმანიის მრეწველობას ნახშირის მიწოდება დაუწყო ცხადია, ეს გარემოება სასტიკათ ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთის ბურჟუაზიის ინტერესებს, დაიწყო საფრანგეთ ინგლისის შორის ნოტების გაცვლა-გამოცვლა, ნოტებით ბრძოლა.

მეორე საკითხი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი საფრანგეთისათვის, საბჭოთა კავშირის ცნობა-არცნობის საკითხი იყო. საფრანგეთი იმ თავითვე იდგა ჩვენი არცნობის ნიადაგზე კიდევ მეტი, საფრანგეთის მთავრობა აწარმოებდა საბჭოთა რესპუბლიკების მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ ყველაზე უფრო სასტიკ ბრძოლას ჩვენი ქვეყნის მიწა წყალზე მომხდარი ინტერვენციული ომები უმთავრესად საფრანგეთის კაპიტალის მეოხებით ხდებოდა. პუანკარე საზიზღარ მტრად იყო საბჭოთა კავშირის უკანასკნელ ხანებში კი ინგლისმა უმტყუნა ამ საქმეშიაც მოკავშირე საფრანგეთს. ინგლისმა იცნო საბჭოთა ქვეყნები იურიდიულად და ახლა ცდილობს მათთან მჭიდრო ეკონომიურ კავშირის დამყარებას. საფრანგეთი განმარტოებული დარჩა ბრძოლის ველზე.

მოკლეთ: ინგლისი ალთას წავიდა, საფრანგეთი ბალთას.

აშკარაა, რომ ამ ორი დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების—ინგლისისა და საფრანგეთის უთანხმოებას პრაქტიკული შედეგები უნდა მოჰყოლოდა. ეს შედეგი ყველას გვედგას თვალწინ. მას ყოველი ჩვენთაგანი გრძნობს. ეს შედეგია: ანტანტის ფაქტიური დაშლა, საბჭოთა ქვეყნების საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცება, და, რაც უმთავრესია საფრანგეთის იმპერიალისტური მადის შენელება. რომ არ აღმოჩენილიყო ინგლისსა და საფრანგეთს შორის ინტერესთა სხვადასხვაობა, იოლად არ გაკონტროლდებოდა პუანკარეს საგარეო პოლიტიკა და არც ასე ადრე მივიღებდით პუანკარეს ჯგუფის დამარცხების სასიხარულო ფაქტს პალატის არჩევნებში.

პუანკარეს ჩამოშორება ევროპის პოლიტიკური ცხოვრებიდან ღირსშესანიშნავი მოვლენაა. იგი ახალი ხანის დაწყებაა საერთოდ ევროპის სახელმწიფოების ურთიერთობაში და, კერძოთ—საბჭოთა კავშირისა და დანარჩენ ქვეყნების ნორმალური დამოკიდებულების საქმეში.

გ. მუშიშვილი.

რადიო-დეპეშები

(„ზაქროსტა“-ს ცნობები)

ჩვენ და უცხოეთი

იუზი განაგრძობს ინტრიგებს ჩვენს წინააღმდეგ

ინგლისის მეცნიერები დიდ ინტერეს იჩენენ საბჭოთა მეცნიერებისადმი; მოელიან მათ ჩამოსვლას მოსკოვში

საბერძნეთში მიემგზავრება ჩვენი ელჩი ამხ. უსტინოვი

იტალია

რომი. 17 მაისი. იტალიის გაზეთები იტყობინებიან, რომ ახლო მომავალში მოსალოდნელია ურთიერთობის განახლება ვატიკანსა და საბჭოთა კავშირს შორის.

რომი. 17 მაისი. 17 მაისს რომში გაიხსნება საერთაშორისო კონფერენცია ემიგრაციის საკითხების გასარჩევად; კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებს 58 სახელმწიფო, მათ შორის საბჭოთა კავშირიც დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები: ემიგრანტების გადაყვანა, სანიტარული მეთვალყურეობა, დახმარება ემიგრანტებს და სხვა.

ინგლისი

მოსკოვი. 19 მაისი. კემბრიჯის მეცნიერთა ჯგუფმა მიმართა რაკოვსკის თხოვნით მიეცეს მათ საბჭოთა კავშირში გამგზავრების უფლება მეცნიერების მიღწევების გასაცნობად. მეცნიერებს მიეცათ ნებართვა.

საბერძნეთი

მოსკოვი. 19 მაისი, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად საბერძნეთში დაინიშნა ამხ. უსტინოვი.

ურთიერთობა გერმანიასთან

გერმანიის პოლიცია მუშაობს.

ბერლინი. 17 მაისი. ზოგიერთი გაზეთების ცნობებით, ბოცენგარდტის დაპატიმრება მოხდა სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომლის, კომპარტიის წევრის ლემანის ბინაზე, სხვა გაზეთების ცნობებით კი—მისი საყვარლის დედის ბინაზე. ლემანი დაპატიმრებულია. პრესა აქვეყნებს პოლიციის მიერ შეთხზულ ცნობებს, რომლებშიაც აღნიშნულია, რომ ლემანის დაპატიმრებით პოლიციამ მოახერხა ხელში ჩაეგდო მეტათ კარგი ნადავლი, რადგან საბჭოთა მთავრობის მიერ სავაჭრო წარმომადგენლობაში მომხდარ ინციდენტის აღწერილობა უმთავრესათ ემყარებოდა ლემანის ჩვენებას.

[illegible] რა ბოცენგარდტის დაპატიმრებულის მიერ, „ბერლინერ ცეიტუნგ“-ი იტყობინება, რომ 4 კვირის წინ რეიხსტაგის არჩევნებამდე სავაჭრო წარმომადგენლობამ ბოცენგარდტს მისცა შვებულება ჯამაგირის შენახვით იმ მიზნით, რომ მას მონაწილეობა მიეღო საარჩევნო კამპანიაში კომუნისტების სასარგებლოთ.

შტრეზემანის განცხადება

ბერლინი. 17 მაისი პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს შტრეზემანმა განაცხადა, რომ სავაჭრო წარმომადგენლობის შენობა არ შეიძლება ჩაითვალოს ექსტერიტორიალურათ.

დამოკიდებულება პოლონეთთან

[illegible]

ვარშავა. 17 მაისი. გაზეთები აქვეყნებენ ჩიჩერინის ნოტის შინაარს და პოლონეთის პასუხის ტექსტს. „რობოტნიკის“ ცნობებით, რედაქციებს გაეგზავნათ ჩიჩერინის ნოტის ტექსტი იმ პირობით, რომ ის არ უნდა ყოფილიყო გამოქვეყნებული.

ჩიჩერინის ნოტამ, გერმანიის ნოტამ და საფრანგეთის მოლაპარაკების პროტესტმა მეტად ძვირი შთაბეჭდილება მოახდინა ვარშავაში. ნაციონალ-დემოკრატების ორგანო „გაზეტა ვარშავსკა“ ყველა ამ სამ პროტესტს სთვლის ანტი-პოლონურ ელემენტების გაერთიანებულ შეტევათ; გაზეთის აზრით, ყველა ამ ელემენტებს მეთაურობენ ებრაელები. ეს უფლებას აძლევს გაზეთს დაემუქროს პოლონეთის ებრაელებს; პასუხისმგებლობას ამ გამოსვლებისათვის გაზეთი აკისრებს პოლონეთში მცხოვრებ ებრაელებს.

თავისთ თავის მტერი.

ბერლინი. 17 მაისი. ჩეხეთის ლეგიონის გაზეთი „ნაროდნი ოსვობოჟდენი“ საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის ნოტების გაცვლა-გამოცვლის გამო აღნიშნავს, რომ პოლონეთის დამოკიდებულება ეროვნულ უმცირესობების მიმართ ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომელიც აფერხებს მშვიდობიანობის დაცვის საქმეს და ქვეყნის მშვიდობიან განვითარებას.

ამერიკის ხრიკები

ჩინეთის პრესის სასტიკი კრიტიკა

პეკინი 17 მაისი. ამერიკის გაზეთები „პეკინ ლიდერ“ და „ნორდ ჩაინა სტარ“ სასტიკად აკრიტიკებენ ამერიკის მთავრობის ნოტას აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის შესახებ და აცხადებენ, რომ ნოტა ამართლებს ცნობას საბჭოთა კავშირის და ჩინეთის მოლაპარაკებაში ამერიკის ჩარევის შესახებ.

იუზის ახალი ხრიკი.

ნიუ-იორკი. 17 მაისი. ამერიკაში მყოფ რუსეთის საელჩოსთან არსებულმა ყოფილმა ფინანსიურმა ატაშემ უგეტმა წარადგინა ფედერალურ სასამართლოში სარჩელი 3 მილ. დოლარზე რკინის გზის ერთ-ერთი კომპანიის წინააღმდეგ. სარჩელში მოყვანილია შემდეგი: 1916 წელს აფეთქების გამო განადგურებული იყო სამხედრო ქონება, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს.

კომპანიამ მოსთხოვა უგეტს საბუთი იმის შესახებ, რომ ის არის რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი, რაზედაც იუზმა განაცხადა, რომ უგეტი ბახმეტიევის (მეფის მთავრობის წარმომადგენელი ამერიკაში) სრულუფლებიანი მემკვიდრეა.

კომპანია ცდილობს გადასდოს ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება.

რა ხდება გერმანიაში

ნაციონალისტებმა შტრეზემანს მოსთხოვეს გადადგომა

მემარჯვენეები მოითხოვენ შტრეზემანის გასამართლებას

მოელიან ინგლის-გერმანიის შეთანხმებას

ნაციონალისტების მოთხოვნები.

ბერლინი 17 მაისი. ნაციონალისტების პარტიის პრეზიდიუმმა მარქსის მთავრობას ოფიციალურად მოსთხოვა გადადგომა. განცხადებაში ნათქვამია, რომ გერმანიის ახლანდელ მთავრობას არავითარი უფლება არა აქვს აწარმოოს მოლაპარაკება სარეპარაციო საკითხის შესახებ, და თუ მთავრობამ რაიმე ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით, ნაციონალისტების პარტია მათ თავისთვის სავალდებულოდ არ სცნობს.

თავის ნახევრად ოფიციალურ პასუხში მთავრობა გადაჭრით უარს აცხადებს ნაციონალისტების მოთხოვნების შესრულებაზე. მთავრობა აღნიშნავს, რომ ის უნდა დარჩეს სახელმწიფოს სათავეში რეიხსტაგის მოწვევამდე და მიუთითებს ექსპერტების გეგმის განხორციელების მნიშვნელობაზე, რადგან ამას მოითხოვს გერმანიის ახლანდელი ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობა.

მემარჯვენე პრესა აცხადებს, რომ მარქსი და შტრეზემანი, რომლებსაც არ სურთ გამოეთიშონ მინისტრების სავარძლებს, დამნაშავეთა სკამზე უნდა იჯდენ.

მთავრობის პრესა ბრალს სდებს ნაციონალისტებს იმაში, რომ მათ [illegible] ძალაუფლება ჩაიგდონ ხელში და მზად არიან ავანტიურისათვის.

დღეს შესდგება ცენტრისა და დემოკრატიული სახალხო პარტიის ლიდერების თათბირი მთავრობის შედგენის საკითხის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთები სასტიკ კამპანიას აწარმოებენ, მაინც ამ პარტიების შეთანხმებას ნაციონალისტებთან შესაძლებლად სთვლიან.

ინგლის-გერმანიის შეთანხმების მოლოდინში.

ბერლინი. 17 მაისი. ლონდონიდან დაბრუნების დროს რეიხსბანკის დირექტორმა შახტმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს პარიზში განაცხადა, რომ მოლაპარაკება ინგლისსა და გერმანიას შორის შეთანხმების შესახებ წარმატებით მიმდინარეობს, ისე, რომ შესაძლებელია, ხელშეკრულება ახლო ხანში დაიდვას.

კომუნისტების წინადადება უარყვეს.

ბერლინი. 19 მაისი. იმის გამო, რომ სხვა პარტიებმა უარი სთქვეს რეიხსტაგის გარეშე საქმეთა კომისიის მოწვევაზე საბჭოთა კავშირის და გერმანიის ინციდენტის განსახილველად, კომუნისტების წინადადება ამ კომისიის მოწვევის შესახებ უარყოფილ იქნა.

კომუნისტების დაპატიმრება

პარიზი. 19 მაისი. „ჟურნალ“-ის ცნობით, ბერლინში პოლიციამ დააპატიმრა ასამდე კომუნისტი. კომუნისტები მიდიოდნენ ნაციონალისტების მანიფესტაციისაკენ.

კაბინეტის მდგომარეობა.

ბერლინი. 19 მაისი. პარლამენტის წრეებში ამტკიცებენ, რომ რეიხსტაგის მოწვევის შემდეგ მთავრობა გადადგება. ახალი მთავრობის შედგენა კვლავ მარქსს დაევალება, ვინაიდან ნაციონალისტებს დღემდე არ გამოურკვევიათ მათი დამოკიდებულება იმ პოლიტიკისადმი, რომელიც დამყარებულია ვალდებულებათა შესრულებაზე.

განაჩენი რურის სამთამადნო მრეწველობის საქმის შესახებ.

ბერლინი. 17 მაისი. გამოტანილია განაჩენი რურის ოლქის სამთამადნო მრეწველობის საქმის შესახებ. განაჩენი არა თუ სტოვებს მუშათა ხელშეკრულებას, რომელიც აწესებს ყოველდღიურად რვა საათის მუშაობას უცვლელათ, არამედ ძალაში სტოვებს ამ შეთანხმებას 1925 წლის აპრილამდე. სამედიატორო სასამართლოს ერთადერთი, ისიც წმინდა თეორიული ხასიათის, დათმობა გამოიხატება იმაში, რომ სასამართლო სცნობს 7 საათის სამუშაო დღეს. განაჩენი უფლებას აძლევს მეწარმეთა მმართველობას დაითხოვონ ყველა, პოლიტიკურის მხრივ საეჭვო მუშები, რაც სინამდვილეში მიიღებს კომუნისტების და ფიზიკურ და გონებრივ შრომის მუშაკთა კავშირის წევრების დევნის ხასიათს. შრომის ხელფასის საკითხში განაჩენი ძალაში სტოვებს წინანდელ 15 პროც. მომატებას.

მემარცხენე პრესა ფიქრობს, რომ ეს განაჩენი, რომელიც ხელს უწყობს მხოლოდ მეწარმეებს, მიღებული არ იქნება რურის მუშების მიერ. ამ განაჩენის გამო, რურში მოწვეულია მუშების რაიონული კონფერენციები, რომლებიც, ეჭვს გარეშე, უარყოფით შეხვდებიან განაჩენს. [illegible] სახელმწიფო მადაროების მუშებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგება სამედიატორო სასამართლოს დადგენილებას.

არ მოუშვათ.

ბერლინი. 17 მაისი. „როტე ფანე“-მ გამოაქვეყნა ზინოვიევის წერილი კომუნისტების გამარჯვების შესახებ არჩევნებში; ამის გამო გაზეთი აკრძალეს 4 კვირით.

ბოცენგარდტის დაპატიმრება.

ბერლინი. 17 მაისი. კომუნისტი ბოცენგარდტი, რომლის გაქცევა გახდა სავაჭრო წარმომადგენლობის წინააღმდეგ ბერლინის პოლიციის გამოსვლის საბაბი, კვლავ დააპატიმრეს ბერლინში.

პრესის ცნობით, დაპატიმრება მოხდა კერძო ბინაზე, თითქოს, სავაჭრო წარმომადგენლობის მოსამსახურესთან.

ბოცენგარდტი ბორკილებით მიყვანილ იქნა პოლიციის პრეზიდიუმში, სადაც მან უარი სთქვა კითხვებზე პასუხის გაცემაზე.

პრესა

ჩვენ და გერმანია

საბჭოთა კავშირისა და გერმანიას შორის ჩამოვარდნილ კონფლიქტს ჯერ კიდევ არ უჩანს დასასრული. მაგრამ ერთი კი ცხადი ხდება გერმანიის მთავრობისათვის, სახელდობრ ის, რომ დღევანდელი ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია ორი წლის ეკონომიურმა ურთიერთობამ იმდენათ დააკავშირა ჩვენ ქვეყნებთან სხვადასხვა სავაჭრო-სამრეწველო წრეები, რომ ძალაუნებურათ ისინი ხმას იმაღლებენ იმ არანორმალური დამოკიდებულების გამო, რომელიც შეიქმნა ორი ქვეყნის შორის გერმანიის უმიზეზო და დაუფიქრებელი გამოსვლის შედეგათ.

როგორც ვიცით საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა უბრძანა თავის ორგანოებს გერმანიაში შესწყვიტონ ყოველგვარი საალებ-მიცემო საქმიანობა. როგორი იქნება შედეგი ამ გადაწყვეტილების—ეს ცხადი გახდება, თუ გავითვალისწინებთ ჩვენსა და გერმანიას შორის არსებულ ეკონომიურ დამოკიდებულებას. რაში გამოიხატება ეს დამოკიდებულება? ამ საკითხს არჩევს მოსკოვის „ეკონომიჩესკაია ჟიზნ“ (18 მაისი).

„1922 და 23 წლის განმავლობაში საბჭოთა ოპერაციები გერმანიასთან უდრიდა 100 მილიონ ოქროს მანეთს 1913 წლის ფასებით ჩვენ საგარეო ვაჭრობაში გერმანიას ეკავა პირველი ადგილი იგივე მდგომარეობა დარჩა 1924 წელს. სამი თვის განმავლობაში გერმანიამ გაიტანა კავშირიდან 26,3 მილიონი ოქრ. მანეთის საქონელი (შარშან კი ამავე სამი თვის განმავლობაში გაიტანა 7,6 მილ. საქონელი). კავშირმა კი შემოიტანა ამავე დროს შარშან 16,5 მილ. მან. ღირებული საქონელი, წელს—19 მილიონ მანეთის“.

მაგრამ მარტო ვაჭრობით არ განისაზღვრება ეკონომიური ურთიერთობა ორი ქვეყნის შორის.

„...გერმანელებმა დაბანდეს საბჭოთა კავშირის სავაჭრო და სამრეწველო საქმეებში რამოდენიმე ათეული მილიონი მანეთი. ასეთ პირობებში, თუ გერმანიის მთავრობამ კვლავ გააგრძელა კონფლიქტი, ამას სულ ადვილათ შეუძლია შეარყიოს ჩვენი საქმიანი დამოკიდებულება გერმანიასთან, რაც, ეჭვს გარეშე, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს მას, რადგან, დღევანდელ პირობებში, როდესაც თანდათან ვითარდება ჩვენი ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან, ამ გარემოებას შეუძლია აუნაზღაურებელი დასტოვოს გერმანიის ზარალი რომელიც გამომდინარეობს მისი დღევანდელი პოზიციიდან“.

საფრანგეთის საპარლამენტო არჩევნების შედეგები

ნაციონალური ბლოკის (პუანკარეს) დამარცხების გამო საფრანგეთის საპარლამენტო არჩევნებში, სტეკლოვი სწერს მოსკოვის „იზვესტია“-ში:

„რასაკვირველია ჩვენთვის უფრო სასურველი იქნებოდა წვრილ გლეხური ბლოკის, და კომუნისტური პარტიის გამარჯვება, მაგრამ ნაციონალურ ბლოკთან და პუანკარესთან შედარებით თვით მემარცხენე ბლოკიც წარმოადგენს ერთნაირ, თუმცა მცირე და ფრიად პირობით, პროგრესს. ჩვენ ილუზიებში არ მოგვყავართ მემარცხენე ბლოკის გამარჯვებას და არ მოველით მისგან რაიმე განსაკუთრებულ დემოკრატიულ და მემარცხენე პოლიტიკას... მაგრამ მაინც მოსალოდნელია, რომ ფართო მასსები, რომლებმაც ჩამოაგდეს პუანკარე და გამარჯვება არგუნეს მემარცხენე ბლოკს, აიძულებენ ამ უკანასკნელს ზოგიერთ კითხვებში აწარმოოს უფრო დემოკრატიული პოლიტიკა, ვინემ იყო დღემდე, ნაციონალური ბლოკის ბატონობის დროს“.

რა შედეგი მოჰყვება საბჭოთა კავშირისთვის პუანკარეს დამარცხებას?

„საბჭოთა კავშირს უფლება აქვს დაიმედებული იყოს იმაში, რომ წმინდა რადიკალური, თუ რადიკალური და ზომიერ სოციალისტური სამინისტროს შედგენით, გაყინული წერტილიდან დაიძვრება საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენის საქმე“.

„თუმცა—სწერს ამავე საკითხზე პროფკავშირების ორგანო „ტრუდ“—საფრანგეთის დამპალი და მოსყიდული პარლამენტარიზმის პირობებში შესაძლებელია მოულოდნელი კომბინაციები. საფრანგეთის გამოჩენილ [illegible] სახელ გატეხილ პოლიტიკოსს, ბრიანს, არ უთქვამს კიდევ უკანასკნელი სიტყვა. ისიც მოსალოდნელია, რომ პუანკარე გადაიხრება მარცხნივ. მაგრამ ერთი ცხადია: 11 მაისის არჩევნები დასასრულს აძლევს ბნელი და სისხლიანი რეაქციის ეპოქას ევროპაში, რომლის ბნელი და სამარცხვინო გამომხატველი იყო ნაციონალური ბლოკის მთავრობა“.

შეგვიძლია დავეთანხმოთ ან არ დავეთანხმოთ ავტორის ასეთ კატეგორიულ აზრს რეაქციონური ეპოქის დასასრულის შესახებ, რომელიც მოჰყვება შედეგათ არჩევნებს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენ გვექნება რამოდენიმე ხნით მაინც საქმე უფრო ზომიერ პოლიტიკოსთან, რომლითაც ისარგებლებს საბჭოთა კავშირი თავისი მიზნებისათვის.

საფრანგეთის ამბები

ყველა პარტიები ამზადებენ თავისი მუშაობის პროგრამას

კომუნისტებს ახალ პალატაში შეაქვთ შეკითხვა ამნისტიის შესახებ.

სოციალისტურ პარტიაში უთანხმოება ახალ მთავრობაში მონაწილეობის საკითხში

რესპუბლიკანელ-სოციალისტების პროგრამა.

პარიზი. 17 მაისი. რესპუბლიკანელ-სოციალისტების პარტიის აღმასკომმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ფრაქციის წევრებმა უარი უნდა სთქვან ისეთ მთავრობაში მონაწილეობაზე, რომელიც არ იკისრებს შემდეგი პროგრამის განხორციელებას: მილიერანის გადადგომა, საყოველთაო ამნისტია, [illegible] აღდგენა ყველა ოლქებში, სავაჭრო ბრუნვაზე არსებულ გადასახადის შეცვლა კაპიტალის დაბეგვრით, მეგობრული მოლაპარაკების განახლება მოკავშირეებთან და სამხედრო სამსახურის ვადის შემცირება.

შეკითხვა საყოველთაო ამნისტიის შესახებ.

პარიზი. 17 მაისი. კომუნისტ დეპუტატები მარტი და დორიო შეიტანენ შეკითხვას საყოველთაო ამნისტიის შესახებ და მოითხოვენ საფრანგეთის დეზერტირების და რურში დაპატიმრებულ გერმანელ მუშების ციხიდან განთავისუფლებას.

კომუნისტ დეპუტატები [illegible], ცაკმალი და ბიზე შეიტანენ შეკითხვას დათხოვნილ მოხელეების და რკინისგზელების სამსახურში მიღების შესახებ.

დიქტატურა ან საბჭოთა რეჟიმი.

პარიზი 17 მაისი. რადიკალები აცხადებენ, რომ მხოლოდ მათ აქვთ სახელმწიფოს მართვის უფლება. რადიკალური გაზეთი „კოტიდიენ"-ი სწერს: „გაწვეული არჩევნები — უკანასკნელი ცდა, რომელსაც ახდენს საფრანგეთის ხალხი, აბარებს რა თავის უფლებებს მეორე პოლიტიკურ ჯგუფ. ხალხის უიმედობა მიგვიყვანს დიქტატურამდე ან საბჭოთა რეჟიმამდე".

გაზეთის აზრით, ერთი ერთადერთი პოლიტიკური [illegible], რომელსაც შეიძლება მიენდოს ახალი მთავრობის შედგენა. „კოტიდიენ"-ი აბრალებს მილიერანს სპეკულიაციას ფრანკის კურსით, რითაც მას სურდა გავლენა მოეხდინა არჩევნებზე. გაზეთი აღნიშნავს, რომ მილიერანმა გაფლანგა ის თანხა, რომელიც უნდა მოხმარებოდა საფრანგეთის თავდაცვას.

[illegible]

პარიზი. 17 მაისი. სოციალისტები რენოდელი, ბონკური და ბრუნი ემხრობიან სოციალისტების მონაწილეობას მთავრობაში; ბლიუმი კი აღნიშნავს, რომ არავითარი ისეთი საგანგებო პირობები არ არის, რომლებიც გათვალისწინებული იყოს მეორე ინტერნაციონალის რეზოლუციებში და მოითხოვდეს სოციალისტების მონაწილეობას მთავრობაში. ბლიუმს ეშინია სახელი არ გაუტეხოს სოციალისტებს რადიკალებთან თანამშრომლობით. ის ოცნებობს ისეთ სოციალისტურ მთავრობაზე, როგორიც შექმნა მაკდონალდმა.

მილიერანი [illegible]

პარიზი 17 მაისი. კაშენი „იუმანიტე"-ში აღნიშნავს, რომ მილიერანმა [illegible], დაითხოვა რკინის გზელები და მოახდინა რურის ავანტიურა. ის მოითხოვს მილიერანის გადადგომას და აღნიშნავს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მილიერანი შექმნის კრიზისს, რომელიც დაამხობს იმ რეჟიმს, რომელსაც ის იცავს.

საფრანგეთის კომპარტია და კომინტერნის მეხუთე კონგრესი.

პარიზი 17 მაისი. „იუმანიტე" სწერს: „საფრანგეთის კომპარტიამ მონაწილეობა უნდა მიიღოს კომინტერნის მეხუთე კონგრესში; ამავე დროს წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ ნათელი და გარკვეული უფლებები განსახილველ საკითხების გადაჭრაში, ვინაიდან კომპარტიამ სრული პასუხისმგებლობა უნდა იკისროს ყველა იმ საკითხებისათვის, რომელთაც გადასჭრის კომინტერნი.

მდგომარეობა სირიაში

ოსმალეთის პრესა ილაშქრებს საფრანგეთის წინააღმდეგ

[illegible] რაიონებში დიდი სიმშილობა

ოსმალეთის პრესა სირიის აჯანყების შესახებ

ანგორა. 18 მაისი. ილაშქრებენ რა საფრანგეთის პრესის წინააღმდეგ, ანგორის დეპუტატები და ოსმალეთის პრესა აცხადებენ, რომ სირიელ ოსმალოების აჯანყება არ არის ბანდიტების საქმე. მოძრაობა მიმდინარეობს პოლიტიკური ლოზუნგებით. ოსმალეთის გარეშე საქმეთა კომისარი ამზადებს საპროტესტო ნოტას საფრანგეთის ძალადობის წინააღმდეგ. ოსმალეთის პრესა სასტიკად ილაშქრებს საფრანგეთის წინააღმდეგ და მოითხოვს ოსმალეთის მთავრობისაგან გადამჭრელ ზომებს. ნახევრად ოფიციალური „ჯუმჰურიეტ"-ი სწერს: „თუ საფრანგეთის პოლიტიკა მომავალშიაც განაგრძობს აჯანყების გამოწვევას, ოსმალოები ამას უყურადღებოდ არ დასტოვებენ. ეს პოლიტიკა ნაკარნახევია თვით პარიზის მიერ". ამავე დროს ოსმალეთის პრესაში ვრცელდება ცნობები აჯანყებულების მთელ რიგ ახალ გამარჯვებების შესახებ. „ხაკიმიეტ მილიე" ადასტურებს ოსმალეთის ბრალდებების სიმართლეს იმის შესახებ, რომ სირიიდან ასახლებენ ოსმალეთის ქვეშევრდომებს ზამთარში. ოსმალეთის ტყვეებს ცუდად ეპყრობიან.

ანგორა 19 მაისი. ოსმალეთის პრესა განაგრძობს სირიელ ოსმალების აჯანყების შეფასებას და უფრო და უფრო სასტიკად ილაშქრებს საფრანგეთის წინააღმდეგ.

პრესა აცხადებს: ანგორის შეთანხმების შესრულების მაგიერ ფრანგები საზღვრების საკითხებს სჭრიან სირიელ ოსმალოების განადგურების გზით. [illegible] ოსმალეთის მთავრობის მხრით გადამჭრელი ზომები. თავის მხრით სირიის ფრანკოფილური გაზეთები ანგორის მთავრობას აბრალებენ აჯანყების მოწყობას, ძალადობას ოსმალეთის არაბების მიმართ და უმადურობას საფრანგეთისადმი. გაზეთები აცხადებენ, საფრანგეთი რომ არ დახმარებოდა ანგორას, ქემალი დაიღუპებოდა, რომ საფრანგეთის საწინააღმდეგოდ გადადგმული ამ ზოგიერთმა ნაბიჯებმა კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანეს ოსმალეთის მთავრობა.

სიმშილობა ესკიშეხირის რაიონში.

ანგორა 18 მაისი. ოსმალეთის პრესა იტყობინება, რომ ესკიშეხირის რაიონში გაძლიერდა სიმშილობა. გლეხები ბალახით იკვებებიან. გაზეთები მოუწოდებენ ხელისუფლებას დახმარებისაკენ.

ანგორა. 19 მაისი. დამატებითი ცნობების მიხედვით, სიმშილობა ესკიშეხირის რაიონში მწვავე ხასიათს ღებულობს. მთავარი მიზეზია გვალვა, რომელიც გავრცელდა ანგორის და ადანის რაიონებში, რომელთაც აგრეთვე მოელის დამშევა.

ინგლისის კომპარტიის კონგრესი

კლასობრივი თანამშრომლობის წინააღმდეგ

ლონდონი 17 მაისი. 17 მაისს გაიხსნა ინგლისის კომპარტიის კონგრესი. პრეზიდიუმში არჩეული არიან გალახერი, ბილლი და [illegible]. ტრიბუნაზე — დროშა, რ. კ. პ. მოსკოვის კომიტეტის მიერ გამოგზავნილი.

მოხსენებაში პარტიის ამოცანების შესახებ გალახერმა აღნიშნა, რომ პარტიისთვის დადგა ბრძოლის ახალი ხანა.

მუშათა მთავრობა ცდილობს დასტოვოს პარლამენტი. მან ხელი აიღო ძველ განზრახვებზე — მომავალი ბრძოლებისათვის ნიადაგის მომზადებაზე და ახლა კაპიტალიზმის სასარგებლოდ მუშაობს. გალახერმა ხაზი გაუსვა, რომ ის ილაშქრებს არა მუშათა პარტიის, არამედ მისი ლიდერების წინააღმდეგ, რომლებიც კლასობრივი თანამშრომლობის პოლიტიკას აწარმოებენ.

ბრძოლა საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ

დასასრულ გალახერი აღნიშნავს რუს მუშების დამსახურებას და [illegible] ყველა ღონისძიებების მიღებას მთავრობაზე ზეგავლენის მოსახდენათ, რათა უარყოფილ იქნეს ინგლისელ ბანკირების მოთხოვნილებები, საბჭოთა კავშირს კი მიეცეს სესხი. გალახერი მოუწოდებს ინგლისის მუშებს გასწიონ წინ და დაიკავონ კომინტერნში შესაფერი ადგილი.

ლენინის დროშის ქვეშ.

მანჩესტერი. 17 მაისი. ინგლისის კომპარტიის კონგრესზე წაკითხულ იქნა კანადის, ამერიკის და ესპანეთის კომპარტიის მისალმებები. ყრილობას წერილობით მიესალმენ მუშათა ლიდერები, რომლებიც კომპარტიის გარეშე იმყოფებიან. მხურვალე ოვაციები გამოიწვია ლანსბერის და აგრეთვე პიმის — [illegible] კავშირის მდივნის, ბრომლეის — მუშათა პარტიის აღმასკომის წევრის, მადაროს მუშათა კავშირის წარმომადგენლის ბელ ნაუტერის და ხის დამმუშავებელთა კავშირის გენერალური მდივნის — გოსლინგის წერილების წაკითხვამ.

მიღებულ რეზოლუციაში, ყრილობა იწონებს ლენინის მოძღვრებას და აცხადებს, რომ ენერგიულად იბრძოლებს მისი ლოზუნგების განხორციელებისათვის.

გაიგზავნა მისალმებები კომინტერნს და ამხ. კრუპსკაიას.

ამხ. კაშენის გამოსვლა.

მხურვალე ოვაციით შეხვდა ყრილობა ამხ. კაშენის გამოსვლას ტრიბუნაზე. ამხ. კაშენმა აღნიშნა, რომ ვერავითარი საპარლამენტო ზომები ვერ შეუშლიან ხელს მასების მიერ მემარცხენე ბლოკის იმედის დაკარგვას. „გზა გახსნილია მხოლოდ კომპარტიისათვის",— სთქვა ამხ. კაშენმა.

შემდეგ კაშენმა ხაზი გაუსვა, რომ საფრანგეთის მუშები მაგალითს იღებენ რუსეთის მუშებისაგან, რომლებმაც უარი სთქვეს კაპიტალისტებთან ყოველგვარ კომპრომისზე.

ყრილობამ მისალმების დეპეშები გაუგზავნა საფრანგეთისა და გერმანიის კომპარტიებს.

გლეხთა მოძრაობა რუმინეთში

გლეხთა აჯანყება ფართოვდება

ვენა 17 მაისი. რუმინეთის მთავრობა აჭიანურებს მიწების დანაწილებას გლეხებს შორის, რის გამო „ძველი რუმინეთის" მთელ რიგ ადგილებში მოხდა გლეხთა აჯანყებები. შეიარაღებულმა გლეხებმა დაიკავეს სასოფლო [illegible] შენობები და გარეკეს ჟანდარმერია.

რუმინეთის მთავრობა ჰგზავნის აჯანყებულების წინააღმდეგ დამსჯელ ექსპედიციას.

პარტიზანები ჩრდილოეთ-ბესარაბიაში.

ვენა. 17 მაისი. „უნივერსულ"-ის ცნობით, გაძლიერდა პარტიზანების გამოსვლები ჩრდილოეთ-ბესარაბიაში, განსაკუთრებით ხოტინის ოლქში. პარტიზანების სისტემატიური თავდასხმის გამო, ჩრდილოეთ ბესარაბიაში მოძრაობა რკინის გზებზე ნაწილობრივ შეწყვეტილია.

მასწავლებლების დევნა

ვენა. 17 მაისი, რუმინეთის სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებით, ბესარაბიის სამხედრო სარდლობამ საჩივარი აღძრა სოროკის ოლქის მასწავლებლობის წინააღმდეგ. დაპატიმრებული მასწავლებლები, რომელთაც ბრალად დასდეს დახმარების აღმოჩენა საბჭოთა აგიტაციისათვის და ურთიერთობის დაჭერა უკრაინულ გაზეთის რედაქტორთან, რომელიც მტრულად არის განწყობილი რუმინეთის მთავრობასთან.

„მწვანე ინტერნაციონალი"

„მწვანე ინტერნაციონალის" კონფერენცია.

პრაღა. 17 მაისი. გაიხსნა კონფერენცია „მწვანე" აგრარული ინტერნაციონალის, რომელიც დაარსდა სამი წლის წინ სლავიანურ ხალხთა აგრარული პარტიების მიერ; ინტერნაციონალში შედიან ჩეხო-სლოვაკიის მემამულეები, პოლონეთის „პიასტოველები", ბულგარეთის, სერბიის და სლოვენიის მიწადმოქმედების კავშირები და „რუსეთის მიწადმოქმედთა კავშირი", რომელიც დაარსდა პრაღაში.

ინგლის-ჩინეთის კონფლიქტი

აღშფოთება ინგლისის წინააღმდეგ იზრდება.

პეკინი 17 მაისი. ჩინეთის საზოგადოებრივი აზრი ძლიერ აღშფოთებულია ინგლისელების ძალადობით. 16 მარტს ცენტრალურ პარკში „ინგლისის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლმა საზოგადოებამ" მოაწყო [illegible] მიტინგი, რომელსაც დაესწრო 200 დეპუტატი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე.

მიტინგზე დიდი აღშფოთება გამოიწვია პარლამენტის წევრების ცნობამ, რომ უკანასკნელ ხანებში ადგილი ჰქონდა ინგლისელ ჯარისკაცების მიერ ჩინელ მოქალაქეების ცემის მრავალ შემთხვევას. ინგლისელი ჯარისკაცები ართმევდენ ჩინელებს ცხენებს, იჭრებოდნენ კერძო ბინებში.

კრებამ მიიღო დადგენილება: მოითხოვოს მთავრობას გაუქმებულად გამოაცხადოს ყველა წინანდელი ხელშეკრულებები და დადვას ახალი ხელშეკრულება სრული თანასწორობის საფუძვლებზე. გაიგზავნოს მიმართვა ინგლისის მუშათა მთავრობას, გააუქმოს ყველა ძველი აგრესიული ხელშეკრულებები, რომელიც დადვა ინგლისის ძველმა იმპერიალისტურმა მთავრობამ. ინგლისის ელჩს პეკინში მოეთხოვოს ბოდიში მოიხადოს ინგლისელ ჯარისკაცების ძალადობისათვის და დაიხუროს ინგლისელი ჯარისკაცების კლუბი.

ინგლისის ჯარების შეჭრა ტიბეტში

პეკინი 17 მაისი. ტიბეტის დეპუტატებმა მიიღეს დეპეშა, რომელიც ადასტურებს ცნობას ინგლისის ჯარების ტიბეტში შეჭრის შესახებ.

ლხასა (ტიბეტის მთავარი ქალაქი) პოლიციის უფროსი და დალაი-ლამას (უმაღლესი სასულიერო პირი ტიბეტში) მთავარი მრჩეველი არის ინგლისელი აგენტი.

ინგლისელი ჯარისკაცები საშინლად უდიერად და უპატივცემულოდ ეპყრობიან მოსახლეობას. ტიბეტში იზრდება აღშფოთება მოძალადეების წინააღმდეგ.

დალაი-ლამამ უარყო ინგლისელების მოთხოვნილება მათთვის კონცესიების მიცემის შესახებ.

მოსულის კონფერენცია

ოსმალეთი არ დასთმობს მოსულს

ანგორა 18 მაისი. მოსულის კონფერენციის გახსნის წინ, ოსმალეთის პრესა აცხადებს: „ოსმალეთის მთავრობამ უნდა მოუსმინოს ინგლისის პრესას. კონფერენციამ უნდა დასძლიოს მეტად დიდი სიძნელეები. ოსმალეთმა უნდა მოითხოვოს ქურთების შემოერთება, რადგან ისინი იგივე არიან ოსმალეთისათვის, რაც შოტლანდიელები ინგლისისათვის. მოსულს არასოდეს არ დასთმობს ოსმალეთი. ოსმალეთის მთავრობამ უნდა მოითხოვოს წილი ნავთის წყაროების ექსპლოატაციაში.

ოსმალეთის დელეგაცია.

სტამბოლი 18 მაისი. 16 მაისს სტამბოლში ჩავიდნენ ოსმალეთის დელეგატები: კომისართა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, ახლა ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე ფეთხი, საზოგადოებრივ საქმეთა ყოფილი კომისარი, დიარბეკირის დეპუტატი — ვეიზი, და მოსულის კარგა მცოდნე — [illegible].

ოსმალეთის პრესა კონფერენციის შესახებ.

სტამბოლი. 18 მაისი. „ტევჰიდ" თვლის, რომ მოსულის საკითხი მდგომარეობს იმაში, თუ ვის ხელში უნდა იყოს ნავთის წყაროები. გაზეთი მოითხოვს, რომ ინგლისს არავითარ შემთხვევაში არ მიენიჭოს მოსულში სრული ბატონის მდგომარეობა. გაზეთი აღნიშნავს, რომ ოსმალეთის მონაწილეობა მოსულის ნავთის დამუშავებაში სასარგებლოა ორივე მხარისათვის, რადგან ოსმალეთი უზრუნველყოფს წესრიგს ამ რაიონში, ამას გარდა შემცირდება ნავთის წყაროების გამოყენებისათვის საჭირო ხარჯები.

გაზ. „ვაკით" აღნიშნავს, რომ ლონდონის პრესას მოსულის საკითხში შეურიგებელი პოზიცია უჭირავს ინგლისის დელეგაციის ჩასვლამდე.

სტამბოლი. 18 მაისი. სტამბოლში ჩავიდა ინგლისის დელეგაცია მოსულის კონფერენციაზე. ოსმალეთის პრესა პესიმისტურად არის განწყობილი: ფიქრობს, რომ ინგლისელები შეუსრულებელ პირობებს წამოაყენებენ.

გაზეთები ამბობენ, რომ მოსული არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეთმოს ინგლისს.

თუ ინგლისი მიიღებს ოსმალეთის წინადადებებს, ინგლის-ოსმალეთის დამოკიდებულება საუცხოვო გახდება.

ოსმალეთის გაზეთებს მოყავთ ცნობები აჯანყების შესახებ ირაკში. აჯანყებას ინგლისელები საშინელის სისასტიკით აქრობენ.

ინგლისის დელეგაციის ჩამოსვლის დღეს მოვიდა ცნობა, რომ იაპონიამ დაამტკიცა ლოზანის ხელშეკრულება. ამ ცნობამ დიდი კმაყოფილება და სიხარული გამოიწვია ოსმალეთში. მაგრამ გაზეთები თვლიან, რომ ამ ფაქტს ჯერჯერობით დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ინგლისი და იტალია აგვიანებენ ხელშეკრულების დამტკიცებას. პრესა მოითხოვს ინგლისელებისაგან განმარტებას, თუ რა იწვევს ხელშეკრულების დამტკიცების დაგვიანებას.

სხვადასხვა ამბები

● **რურის ევაკუაცია.** ვაშინგტონში დიდი სენსაცია მოახდინა გაზეთ „ნიუ იორკ უორლდ"-ის მიერ პარიზიდან მიღებულმა სპეციალურმა დეპეშამ, რომელშიაც ნათქვამია თითქოს პუანკარეს მაკდონალდისათვის განუცხადებია თანხმობა რურის ევაკუაციაზე.

● **ველინგტონ კუს მოკვლის განზრახვა.** ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ველინგტონ კუს მოკვლის განზრახვით ვიღაც უცნობებმა გაუგზავნეს პატარა ყუთი, რომელშიაც ყუმბარა იდო. ყუთის გახსნისას ყუმბარა გასკდა. მინისტრი გადარჩა, მძიმედ დაიჭრა მისი სამი მოსამსახური.

● **მართალია?** რეიტერის სააგენტოს ცნობით ინდოეთის ნაციონალისტთა ლიდერმა განდიმ თითქოს შეიცვალა თავისი შეხედულებები და განაცხადა, რომ ინდოეთში ინგლისურ საქონლის ბოიკოტის განხორციელება შეუძლებელია. სააგენტო არწმუნებს, თითქოს ინდოეთის ნაციონალურ კონგრესზე განდის წინადადებით კონგრესის სპეციალური სესიის მიერ ბოიკოტის შესახებ მიღებულ რეზოლუციის გაუქმების წინადადება.

● **სუნ-იატ-სენი ცოცხალია.** ცნობა ცნობილი ჩინელი რევოლუციონერის სუნ-იატ-სენის სიკვდილის შესახებ, ყალბი აღმოჩნდა.

● **ტყის ხანძარი.** ამერიკაში, მანიტობის შტატში, ჩრდილოეთ ალბერტას რაიონის ტყეებს ცეცხლი მოედო. ხანძარმა უკვე იმსხვერპლა რამდენიმე ასი კაცი.

● **დღესასწაული ჰააგაში.** ჰააგაში იდღესასწაულეს პირველი საზავო კონფერენციის 25 წლის თავი.

● **საპატიო წოდებათა გაუქმება.** საფრანგეთის კონსტიტუციის შემდგენელმა კომისიამ დაადგინა გააუქმოს ყოველგვარი საპატიო წოდებანი (ტიტულები).

● **ახალი მთავრობა სამხრეთ-სლავიაში.** სამხრეთ სლავიის მეფე ალექსანდრემ ოპოზიციის ლიდერს დავიდოვიჩს დაავალა ახალი მთავრობის შედგენა.

● **კომუნისტ დეპუტატის დევნა.** საქსონიის ლანდტაგმა ნება დართო, რომ კომუნისტ დეპუტატი [illegible] პასუხისგებაში იქნეს მიცემული.

● **იაპონიის სამხედრო მისიის გამგზავრება.** იაპონიის სამხედრო მისია ოსმალეთიდან რუმინეთში გაემგზავრა.

● **გაფიცვა ლოძში.** ლოძში გაიფიცნენ ქალაქის თვითმართველობის მუშები. გაფიცულების ადგილი დაიჭირა ჯარებმა.

● **ოკუპანტების რეჟიმი.** რურში გაძლიერდა რეპრესიები მუშების წინააღმდეგ.

ესსენში მუშებს, რომლებიც კომუნისტების მიტინგზე იყვნენ, თავს დაესხა პოლიცია.

საბჭოთა აჭარისტანში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

— **ლორჯომ-ქვანის გზის შეკეთება.** სახელმწიფო სამშენებლო მთავარ სამმართველომ დაიწყო ლორჯომ-ქვანის გზის შეკეთება.

— **შუამდგომლობა.** სოციალური უზრუნველყოფის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა სახკომ. საბჭოს წინაშე, სასამართლოს და ადმინისტრატიული წესით ჩამორთმეულ და უპატრონოთ დარჩენილ ქონების გლეხკომებზე გადაცემის შესახებ.

— **[illegible] გზის შეკეთება.** ხიჯაურის თემში დაწყებულია მუშაობა ს. ქვანის გზის გასაკეთებლად, რომელიც ამ მოკლე ხანში დამთავრდება.

— **ხიდის გაკეთება.** დამთავრებულ იქნა სოფ. ჩაოს ხიდის გაკეთება.

— **ბინების განაწილება.** დაბა ხულოში შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა მუშა-მოსამსახურეებზე ბინების განაწილება.

— **სახალხო სახლი ბარცხანაში.** ბარცხანის თემის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატის წინაშე, ბარცხანის სახალხო სახლის ასაგებად დახმარების გაწევის შესახებ.

— **მოძრავი კინო მაზრებში.** აჭარისტანის მაზრებსა და თემებში ეწყობა მოძრავი კინო.

— **დახმარება.** ცენტრალურ საურთიერთო დახმარების კომიტეტმა გადასცა ქედის სამაზრო გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტს 500 მან. მაზრაში იაფასიანი სასადილოს მოსაწყობად გლეხობისათვის.

— **დანგრეული შენობების შეკეთება.** ქობულეთში დაწყებულია დანგრეულ შენობების შეკეთება, რომელიც ამ მოკლე ხანში დამთავრდება.

— **საცდელ საჩვენებელი სანერგე.** სოფ. ხუცუბანში დაარსდა საცდელ საჩვენებელი სანერგე.

— **ქვის ხიდის აგება.** სახელმწიფო სამშენებლო მთავარ სამმართველომ დაიწყო მდ. კინტრიშზე ქვის ხიდის აგება.

— **აგრონომიული პუნქტი.** სოფ. ყოროლისთავში გაიხსნა აგრონომიული პუნქტი, სადაც სისტემატიურად მოეწყობა ლექციები-საუბრები აგრონომიული ხასიათის საკითხების გასაშუქებლად.

— **[illegible]** სოფ. ყარადერეში არსებობს [illegible] პუნქტი, რომელიც აწვდის ადგილობრივ მცხოვრებლებს უფასო [illegible] დახმარებას. განზრახულია საექიმო პუნქტის დაარსება.

— **კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.** სოფ. ახალშენში გაყვანილია 7 ნახევარ ვერსზე ახალი შარაგზა, გახსნილია სამკურნალო პუნქტი. ამავე სოფელში სკოლის გარდა არსებობს ქოხ-სამკითხველო და სხვ.

— **მიწის რეფორმის კამპანია.** ქედის მაზრის აღმასკომმა გადასწყვიტა მაზრაში მიწის რეფორმის სისრულით გასატარებლად მიწკომებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ გლეხკომების წარმომადგენლებმაც.

— **სამუსლიმანო უქმეები.** სამუსლიმანო უქმე დღეებით აჭარისტანში, ადგილობრივ ადათის და რელიგიის მიხედვით, დაწესებულ იქნა: ზარიფის დღის 21 მარტი, ყადრის დღის 2 აპრილი, ფითერ ბაირამის 6 და 7 მაისი, ყურბან ბაირამი 13 და 14 ივლისი, მევლუდის — 14 ოქტომბერი.

— **[illegible]** ცენტრ. აღმასკომის დადგენილებით, დასასვენებელ უქმე დღეთ მაზრებში კვირის მაგიერ გამოცხადებულ იქნა პარასკევი.

თ. ხაძე

პარტიული ცხოვრება

ამ.-კავ. საოლქო კომიტეტის პლენუმი

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმის სხდომაზე, რომელიც შესდგა 16 მაისს, ირჩეოდა საკითხი ა/კ საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის და სამდივნოს არჩევნების შესახებ.

პრეზიდიუმში შევიდნენ: ამხ. ამხ. გუსეინოვი, კიროვი, ლომინაძე, მიასნიკოვი, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, ცხაკაია, ელიავა, იაკუბოვი.

კანდიდატებით: ამხ. ამხ. ლომინაძე, მ. ხარაძე, ბუნიატ-ზადე, ოთარხანიანი, კ. ხანი და ხოჯიკოვი.

სამდივნოში არჩეულ არიან მდივნებით: ამხ. ამხ. მიასნიკოვი და ქართველიშვილი.

სამდივნოს წევრებათ არჩეული არიან: ამხ. ამხ. კახიანი და [illegible].

ა/კ. საოლქო კომიტეტის წარმომადგენლებათ ა/კ. საოლქო საკონტროლო კომისიაში არჩეული არიან ამხ. ამხ. მიასნიკოვი, ელიავა და იაკუბოვი.

წარმომადგენლად რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტში არჩეულია ამხ. [illegible].

გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს პასუხისმგებელ რედაქტორად დამტკიცებულია ამხ. მიასნიკოვი და მის მოადგილეთ ამხ. [illegible].

პლენუმმა აუცილებლად სცნო, რომ ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმის, პრეზიდიუმის და სამდივნოს სხდომებზე დაესწროს ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე.

ამიერ-კავ. საოლქო საკონტროლო კომისია

ამიერ კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პლენუმის 16 მაისის სხდომაზე შესდგა ამიერ კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის სამუშაო აპარატი: ა/კ საოლქო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარეთ ამხ. ამბაკ ნაზარეტიანი, პასუხისმგებელ მდივნათ ამხ. [illegible] ხატურია. პრეზიდიუმში შევიდნენ შემდეგი ამხანაგები: ნაზარეტიანი, ხატურია, ათარბეკოვი, შამშე ლეჟავა, ალი ტაგი-ზადე, [illegible], მართიკიანი, ეფენდიევი, ანდრია დოლიძე და [illegible].

კანდიდატებათ: [illegible], [illegible], [illegible] და [illegible].

პარტკოლეგიაში: თავმჯდომარეთ ამხ. გ. ხატურია, მდივნები: [illegible] და [illegible].

კანდიდატებათ: ამხ. რთველაძე და [illegible].

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებების გამგეების ამიერ-კავკასიის პირველი თათბირი

17 მაისს ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტის შენობაში გაიხსნა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების ცენტრალური, საქალაქო და საოლქო კომიტეტების სააგიტაციო საპროპ. განყოფილებების გამგეთა თათბირი, რომელსაც დაესწრო 21 კაცი. თათბირის დასაწყისში მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან.

აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას საგ.—საპროპ. განყოფილების მუშაობა.

პროპაგანდის სფეროში საგ.-საპროპ. განყოფილებამ გააძლიერა თავისი მუშაობა, რომლის მიზანი იყო პარტიული მასებისათვის სათანადო პარტიული განათლების მიცემა. ამ ჟამათ აზერბეიჯანში არსებობს ცენტრალური პარტიული სკოლა, რომელშიაც მეცადინეობს 340 კაცი. სკოლასთან არის ქალთა კურსები, რომელზედაც მეცადინეობს 81 ქალი; მაზრებში არის 5 საბჭოთა პარტიული სკოლა, რომლებშიაც სწავლობს 295 კაცი.

პირველ ხანებში სამაზრო საბჭოთა პარტიული სკოლები ვერ იყვნენ მტკიცე ნიადაგზე დაყენებული, მაგრამ უკანასკნელ დროს სკოლების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

პოლიტიკური უცოდინარობის ლიკვიდაცია პოლიტიკურ წრეებში პირველ ხანებში უსისტემოთ ტარდებოდა, რის გამო აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას საგ. საპროპ. განყოფილება იძულებული იყო პოლიტიკურ წრეებიდან გადასულიყო პოლიტიკური ცოდნის სკოლების ერთიან სისტემაზე.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სფეროში საგ. საპროპ. განყოფილებას მოელის დიდი მუშაობა, რადგან 1924 წ. პირველი იანვრისათვის სოფლის 297 უჯრედში იყვნენ მდივნები: წერა კითხვის უცოდინარები — 64, ცოტათი მცოდნენი — 116, მცირე განათლებით — 113, საშუალო განათლებით — 4. მაზრებში აზერბეიჯანის კომპარტიის წევრებიდან წერა კითხვა იცის 38.4 პროც., კანდიდატებიდან 45,2 პროც. ბაქოს ორგანიზაციაში წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი შეადგენს 8 პროც.

მუშაობას სტუდენტ. შორის ცეკას საგ. საპროპ. განყოფილება აწარმოებს ბაქოს კომიტეტის საგ. საპროპ. განყოფილებასთან ერთად. აზერბეიჯანის უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე სასწავლო წელში სწავლობს 1 880 სტუდენტი, რომელთაგან პარტიის წევრათ ითვლება 38, კომკავშირის წევრათ — 48. განზრახულია მოხდეს უმაღლესი სასწავლებლების რეორგანიზაცია: ისინი უნდა დაუახლოვდნენ აზერბეიჯანის პირობებს და მათში გაძლიერებული უნდა იქნეს სასოფლო სამეურნეო და ტეხნოლოგიური ფაკულტეტები.

მაზრებში გამოდის 5 გაზეთი. მათი მდგომარეობა, გარდა ნახიჩევანის გაზეთისა, [illegible]; ყველა ისინი გამოხატავენ გლეხთა ცხოვრებას. გაზეთების ტირაჟი უდრის 2 500 ცალს.

აზერბეიჯანის კომპარტიის ბაქოს კომიტეტის საგ. საპროპ. განყოფილების მოხსენება (ამხ. მამედოვი)

ბაქოს ორგანიზაციას, რომელშიაც ითვლება 15 000 წევრი, აქვს 50 პოლიტიკური უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა. პარტიაში ახლად მიღებულ წევრების პოლიტიკური მომზადების გამო პოლიტიკური ცოდნის სკოლების რიცხვი გაიზარდა 117, რომლებშიაც ამ ჟამათ სწავლობს 5 000 პარტიული ამხანაგი. ამას გარდა, რაიონებში არის პირველი საფეხურის 7 საბჭოთა პარტიული სკოლა: 4 თურქული და 3 რუსული, რომლებშიაც სწავლობს 225 კაცი. ბაქოში ჩამოსული მუშაკები, რომლებმაც დაამთავრეს სვერდლოვის უნივერსიტეტი, გაიგზავნენ სამუშაოთ რაიონებში.

საგ. საპროპ. განყოფილებამ ჩაატარა სამი დიდი ანტი სარწმუნოებრივი კამპანია: „შახსეი ვახსეი", „სააღდგომო" და „ურაზა". გლეხთა რაიონებში ეს კამპანიები დიდის წარმატებით იქნენ ჩატარებული.

სომხეთის კომპარტიის ცეკას საგ.-საპროპ. განყოფილების მოხსენება (ამხ. ძნუნი)

სოფლის უჯრედებში მუშაკების საკმაო რიცხვის უყოლობის გამო საგ. საპროპ. განყოფილება იძულებული იყო ყურადღება მიექცია მათი მომზადებისათვის, რისთვისაც ცეკას საგ.-საპროპ. განყოფილების მიერ მოწყობილი იყო კომუჯრედების მდივნების კურსები.

საშუალებების უქონლობის გამო პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა სომხეთში სუსტად არის დაყენებული. ქოხ-სამკითხველოებს ინახავენ გლეხები. სუსტათ არის დაყენებული აგრეთვე წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე იმ ახალ გაზრდობაში, რომელსაც ჯერ კიდევ არ ეხება ჯარში გაწვევა.

ორგანიზაციების პოლიტიკური [illegible] პარტიის წევრების [illegible] გამოირკვა, რომ პარტიის იმ წევრების და კანდიდატების რიცხვი, რომელთაც არ იციან, ან ცოტათი იციან წერა-კითხვა, აღწევს 70 პროცენტს. ამიტომ ცეკას საგ. საპროპ. განყოფილებამ თავის მორიგ ამოცანად დაისახა პარტიის წევრების პოლიტიკური მომზადების გატარება.

სომხეთის კომპარტიის ცეკას ხელმძღვანელობით გამოდის ორი გაზეთი: გლეხთა გაზეთი „მაჭკალ", რომლის ტირაჟი უდრის 2,500 ეკზემპლიარს, და პარტიულ-პოლიტიკური გაზეთი „ხორურდაინ აიასტან" — 800 ეკზემპლიარი. მოწყობილია კურსები მუშა-კორესპონდენტებისათვის.

ამხანაგების მობილიზაცია

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი იმ მიზნით, რომ ჩატარებული იქნეს კამპანია საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, მობილიზაციის წესით იწვევს შემდეგ ამხანაგებს:

ლენინის რაიონისათვის:

1) მამია ორახელაშვილი, 2) გენკინი, 3) [illegible], 4) [illegible], 5) ელისაბედაშვილი.

[illegible] რაიონისათვის:

1) კოსტანიანი, 2) სიმკოვი, 3) ვ. ბახტაძე, 4) ტალახაძე, 5) [illegible], 6) კრუგლიკოვი, 7) [illegible], 8) [illegible], 9) [illegible], 10) მიქაძე.

ავლაბრის რაიონისათვის:

1) კახიანი, 2) გუსეინოვი, 3) [illegible], 4) [illegible], 5) [illegible], 6) შვარცი, 7) [illegible], 8) [illegible], 9) [illegible].

ქალაქის რაიონისათვის:

1) ნ. ოკუჯავა, 2) ნოვიკოვი, 3) [illegible], 4) სუტირინი, 5) [illegible], 6) რუხაძე, 7) სოკოლოვსკი, 8) [illegible], 9) ზავარიანი, 10) [illegible].

ყველა აღნიშნულ ამხანაგებს [illegible] რაიკომების გამოწვევისთანავე გამოცხადდნენ კრებებზე. მასალები მოხსენებებისათვის არის პარტკლუბის ბიბლიოთეკაში.

ტფილისის კომიტეტის მდივანი კახიანი.

პირველი საერთო საქალაქო კულტ. კონფერენცია

17 მაისის სხდომა.

17 მაისს მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიხსნა პირველად თბილისში საერთო საქალაქო კულტკონფერენცია, რომელიც მოწვეულ იქნა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილების მიერ.

კონფერენციაზე მონაწილეობას იღებენ პროფკავშირების კულტურულ განყოფილებათა გამგეები და წარმოებათა კულტურულ კომისიების წევრები.

კონფერენცია გახსნა ამხ. [illegible], რომელმაც აღნიშნა, რომ ამჟამად პროფკავშირების მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილი უნდა იქნეს კულტურულ მუშაობაზე.

სინამდვილე გვიჩვენებს, თუ რამდენად ძლიერია მუშათა მასების ლტოლვა კულტურისაკენ. ამჟამად მუშფაკებში მეცადინეობს 700-დე მუშა, ჩვენი წარმოებების მუშების 60—70 პროცენტს გამოწერილი აქვს მუშათა გაზეთი და სხვ.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტურულ განყოფილების მოხსენება

მოხსენება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტურულ განყოფილების მუშაობის შესახებ გააკეთა ამხ. ჭელიძემ.

მენშევიკების ზოოლოგიური ნაციონალიზმის პოლიტიკამ ჩანასახში მოაწყვდია კულტურული მუშაობა. ამის დასამტკიცებლად საკმაოა ისიც, რომ მენშევიკების დროს არ ყოფილა გამოშვებული არც ერთი ბროშურა პროფმოძრაობის შესახებ.

საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებშივე მუშათა მასებს ემჩნევა ძლიერი ლტოლვა კულტურისაკენ: მოკლე ხნის განმავლობაში თბილისში მოეწყო 70 კლუბი.

1924 წლის იანვრის 1 წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლების რიცხვი უდრიდა 36 ს.

ამჟამად წერა-კითხვის უცოდინართა პროცენტი კავშირების წევრთა შორის არ აღემატება 4 5.

მუშაობა ისეა დაყენებული, რომ 1925 წ. 1 იანვრისათვის სრულიად აღმოფხვრილი უნდა იქნეს წერა-კითხვის უცოდინარობა კავშირის წევრებს შორის.

ამას გარდა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტურულმა განყოფილებამ მოაწყო პროფტეხნიკური კურსები, ცეცხლის [illegible] კურსები, რომელიც დაამთავრა [illegible] მუშამ, განყოფილების მიერ გახსნილ იქნა აგრეთვე კურსები ქართული ენის შესასწავლად და სხვ.

ყველა კურსებზე ამ ჟამად სწავლობს 4256 კაცი.

საგრძნობლად გაუმჯობესებულ იქნა ფიზიკური კულტურის საქმე.

დაარსებულია 24 წრე პროფმოძრაობის საკითხების შესასწავლად.

მოწესრიგებულია ლექციების საქმე. ერთი წლის განმავლობაში გამართულ იქნა სულ 473 ლექცია; ლექციებს დაესწრო 74,848 მუშა მსმენელი. სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტზე სწავლობდა 1540 მუშა, სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის მუშფაკზე — 985. [illegible] სასწავლებლებში სწავლობს სულ 2598 მუშა.

ბევრი რამ გაკეთდა აგრეთვე პროფესიონალური ლიტერატურის გამოცემის დარგში: გასული წლის დასაწყისიდან გამოიცა 25 წიგნი ქართულ ენაზე, გავრცელებულ იქნა 48 000 ეკზემპლიარი სხვადასხვა გამოცემა, რომელიც მიღებული იყო ცენტრიდან.

შემდეგ ამხ. ჭელიძე ეხება [illegible] გაზეთების დარგში მიღწეულ შედეგებს.

18 მაისის სხდომა.

კონფერენციის მეორე სხდომა გაიხსნა კამათით საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტურულ განყოფილების მოხსენების გამო.

სპორტსმენთა [illegible].

სხდომის შეწყვეტის შემდეგ კონფერენცია მიდის მუშათა ცენტრალურ კლუბთან არსებულ საკავშირო მოედანზე, სადაც ფიზიკური კულტურის წრეების არსებობის წლის თავის გამო უნდა მოხდარიყო წრეების სპორტიული გამოსვლები.

წლის თავის გამო მისალმებით გამოვიდნენ საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის, პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველოს, პროფკავშირთა საბჭოს და კონფერენციის წარმომადგენლები.

საქ. ექიმთა მეორე სამეცნიერო კონგრესი

კონგრესის გახსნა

კვირას, 18 მაისს დილის 12 საათზე ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის აუდიტორიაში გაიხსნა სრულიად საქართველოს ექიმთა მე 2-ე სამეცნიერო კონგრესი.

პროფ. ღამბარაშვილი საორგანიზაციო კომიტეტის სახელით ხსნის სხდომას და წინადადებას იძლევა არჩეულ იქნეს პრეზიდიუმი.

პრეზიდიუმში ერთხმად არჩეული იქნენ პროფ. ღამბარაშვილი, პროფ. მუხაძე, პროფ. მაჭავარიანი, პროფ. გოგიტიძე, პროფ. წინამძღვრიშვილი, პროფ. ვირსალაძე, პროფ. [illegible], მდივნებად ექ. ყიფშიძე, ექ. [illegible] და ექ. რუსიშვილი.

[illegible] წინადადებით კონგრესის საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეულ იქნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ივ. ჯავახიშვილი და დამსახურებული პროფესორი პ. მელიქიშვილი.

მისალმებანი.

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, რომელსაც კონგრესი ხანგრძლივი ტაშით ეგებება, ესალმება კონგრესს და აღნიშნავს იმ დიდ როლს, რომელსაც შეასრულებს სამეცნიერო კონგრესი ორი გავრცელებული სენის მალარიის და ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთანავე პროფ. ჯავახიშვილი აქცევს კონგრესის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ საქართველოში ყოველი ახალი აღმოჩენა ჩვენ სამეცნიერო და კერძოთ სამედიცინო დარგში დიდის დაგვიანებით მოდის და ხშირად უცნობი რჩება ფართო ექიმთა საზოგადოებისათვის, რაც აიხსნება პერიოდულ სამედიცინო ჟურნალის უქონლობით. პროფესორი გამოსთქვამს სურვილს, რათა კონგრესმა ერთ ერთ თავის დადგენილებათ მიიღოს პერიოდული ჟურნალის გამოცემა, რომელშიაც მოთავსებული უნდა იქნეს ყველა ის მოხსენებები და დაკვირვებები, რომლებსაც კონგრესი განიხილავს. ჟურნალის გამოცემის აუცილებლობა საჭიროა აგრეთვე ევროპის მეცნიერებასთან კავშირის დაჭერის მიზნით. პროფ. ჯავახიშვილი განმეორებით ესალმება კონგრესს და უსურვებს მას ნაყოფიერ მუშაობას.

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის და ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს პროფ. [illegible]. სამკურნალო ფაკულტეტის სახელით კონგრესს ესალმება პროფ. [illegible]შვილი, წითელი ჯვრის საზოგადოების სახელით ექიმი [illegible]. შემდეგ მისასალმებელ სიტყვას ამბობენ ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების წარმომადგენელი, ამიერ-კავკასიის რკინის გზების ჯანმრთელობის განყოფ. წარმომადგენელი, ამიერ კავკასიის ექიმთა საზოგადოების წარმომადგენელი, პროფ. [illegible]

ეროვნული

ვუი, ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადო წარმომადგენელი, და სამედიცინო ფაკულტეტის ახლად კურს დამთავრებულთა წარმომადგენელი.

ოფ. მიხალაძის მოხსენება.

მისალმებათა დასრულების შემდეგ მოხსენებას აკეთებს პროფ. ვირსალაძე შემდეგ თემაზე: „ტუბერკულოზის კლინიკური ფორმების თანამედროვე კლასიფიკაცია". მოხსენებელი დაწვრილებით იხილავს დღემდის არსებულ კლასიფიკაციებს და აღნიშნავს მათ დადებით და უარყოფით მხარეებს. მოხსენებიდან ირკვევა, რომ საბოლოო კლასიფიკაცია ტუბერკულოზის კლინიკური ფორმების ჯერ-ჯერობით არ არსებობს, ხოლო ასეთი კლასიფიკაციის არსებობა აუცილებელია. დასასრულ მომხსენებელი იძლევა წინადადებას არჩეულ იქნას ფართო კომისია, რომელსაც დაევალება აღნიშნულ საკითხის დაწვრილებითი შესწავლა და კლასიფიკაციის შედგენა.

მოხსენების მოსმენის და რეგლამენტის მიღების შემდეგ სხდომა დაიხურა.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი თბილისში

(20 მაისი)

ჩერვონეცი—125 მილიარდი მან.

ჩერვონცებით

ინგ. სტერლინგი. ფუნტ. 8 მ. 50 კ.
„ ჩეკები — 7 მ. 50 კ.
ამერიკ. დოლ. — 1 მ. 94 ნახევ. კ.
„ ჩეკები—1 მ. 78 ნახ. კ.
ფრ. ლირა — 90 კ.
ფრ. ლირა 100 ცალი 8 მან.
ფრანკ. ფრან. 100 ცალი 9 მ.
ოქროს მანეთი 12.500 მილიონი.

სურსათის ფასები

(20 მაისი)

პური 5 ნახ. კაპ., ბრინჯი—14 კ., მარილი — 30 კაპ., შაქარი რაფინადი—38 კ., შაქარი ფხვნილი 26 ნახ. კ., კარტოფილი— 3 კ., ყველი—14 კ., საპონი „ტოლლუ" 33 კ., ფქვილი თეთრი № 0—10 კ.

თბილისის ბაზრის ფასები

(20 მაისი)

პური 1 ხარ.- 8 კაპ., პური 3 ხარ. 8 კაპ., ძროხის ხორცი—30 კაპ., შაქარი რაფინ. 33—34 კაპ. შაქარი ფხვნილი—26 27 კარტოფილი—3 კაპ. მაკარონი—18 20 კაპ., ბრინჯი 14 კაპ.

ბირჟის მოთხოვნა

„ნოვტრესტორგი"-ს პროდუქცია (სანთი, კარტონი, ქაღალდი, ფანჯრის მინა, შუშელი და სხვ.) მზესუმზირის ზეთი, ღვინოები, სანთებელი, თევზი (ВОБЛА), „ქიმფუგოლ"-ის პროდუქცია, „ცარჰპიტორგ"-ის პროდუქცია, ბოგირდი „ზუდა", ჩაი ცეილონის და ჩინეთის, „სახაროტრესტ"-ის პროდუქცია, „ხლებოპროდუქტ"-ის ფქვილი, სახ. მეურნ. საბჭოს ...ის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ოლიფის ზეთი და სხვ.), „კრაიტორგ"-ის პროდუქცია (ცემენტი, ეტერნიტი და სხვ.), შაბიამანი, სპილენძის ოლიფა, მავთული, სალეწავი მანქანები (მოწყობილობით), თუნუქი (შეკრული) ვაგონებით, წერაქვები და ბარები, სალობი, საშენებელი ლურსმნები, ყუბანის ფქვილი „რაზმოლ"-ი.

ბირჟის მოთხოვნილება

პორტლანდის ცემენტი, მზესუმზირის ზეთი, ფანჯრის მინა (ბემის), ცხვრის ქონი სპეციალური, ასანთი, ზეთისხილის თხილი, ტუტები, სანიავებელი და სალეწავი მანქანები, ჯაგრი, ნედლი ტყავეულობა, ნარშა და მატყლი, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, ქვა მარილი ნახიჩევანის.

ოფიციალური გარიგებანი

მზესუმზირის ზეთი ფუთ.—6 მან. 50 კაპ. ფ. ფრანკო—თბილისი ცისტერნა.

პორტლანდის ცემენტი—1 მ. 25 კაპ. ფუთი, ფრანკო „სახაროტრესტ"-ის საწყობი.

ქერის ფქვილი 2 ხ. „წითელი"— 2 მ. 60 კ., 3 ხ. „წითელი"—1 მ. 70 კ. ფუთი ფრანკო თბილისი.

საქონლის ბაზრის განწყობილება

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება უცვლელია.

ბირჟის ბრუნვის გარიგებანი

1 მაისიდან 15 მაისამდე ბირჟის გარეში დადებულია 155 გარიგება—594,760 მან. ხოლო 16 მაისს—28 გარიგება—42,792 მ. ნ 1 მაისიდან სულ 178 გარიგება—637,552 მანეთის თანხისა

თბილისის საფონდო და საქონლის ბირჟის ოპერაციები

(16 მაისი)

საფონდო განყოფილება.

1 მაისიდან 15 მაისამდე ბირჟაზე დადებულია 65 საფონდო გარიგება —287 456 მანეთისა, ხოლო 16 მაისს 4 გარიგ. — 20815 მან., სულ 1 მაისიდან 69 გარიგება—307771 მან. თანხისა.

საქონლის განყოფილება

1—15 მაისამდე დადებულია 55 გარიგება— 330428 მანეთისა, ხოლო 16 მაისს 6 გარიგება 85585 მან.; სულ 1 მაისიდან 16 მაი 61 გარიგება 416 013 მან თანხისა. !

[illegible]

1—15 მაისამდე ბირჟაზე დადებულია 155 გარიგება—594760 მ.ნ; 16 მაისს—23 გარიგ.—42795 მ; სულ 1—16 მაისამდე—178 გარიგ.—637552 მან თანხისა.

თბილისის საფონდო და საქონლის ბირჟის წევრთა წლიური კრება

14 მაისს, საღამოს 6 საათზე ბირჟის შენობაში ამხ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით გაიხსნა ბირჟის წევრთა საერთო წლიური კრება.

ამხ. ჩხენკელმა ვრცელი მოხსენება გააკეთა თბილისის ბირჟის მოქმედების შესახებ 1923 წლის განმავლობაში აღნიშნა რა ის დაბრკოლებები, რომლებიც ბირჟას დაარსებისთანავე მუშაობის წინ ელობებოდა მოხსენებელი გაჩერდა იმ ზომებზე და ღონისძიებებზე, რომლებიც მიღებული იყო ბირჟის ხელმძღვანელთა მიერ, რათა ბირჟა გამხდარიყო ვაჭრობის რეგულიატორად.

სხვათა შორის, მომხსენებელმა აღნიშნა ბირჟის მონაწილეობა ოქროს თუმნიანის განდევნაში და ჩერვონეცის დამკვიდრებაში. როცა სავალუტო საკითხი ცოტად მოწესრიგებული იყო, საბირჟო კომიტეტმა გადაჭრა თავის ბირჟის საქონლის განყოფილების კომიტეტის მეცადინეობით, გამოცემული იყო საგანგებო დეკრეტი, რომლის ძალით ყველა სახელმწიფო დაწესებულებანი მოვალე არიან თავისი ოპერაციები აწარმოონ ბირჟის საშუალებით შემდეგ დაარსებული იყო სხვა და სხვა აპარატები ოპერაციების გასაადვილებლად, მაგ. ექსპერტთა კომისია, საარბიტრაჟო კომისია, რომელთა ავტორიტეტული გავლენა უეჭველია. ყურადღება მიექცა ინფორმაციის გაუმჯობესებას.

მჭიდრო კავშირი გაბმით სხვა და სხვა მსხვილ ცენტრებთან (მოსკოვი, ლენინგრადი, სამარა და სხვ.).

ბირჟის მოქმედებაში აღსანიშნავია ორიგის სექციის დაარსება, მისი კულტურულ-განმანათლებელი მოქმედება (მექანიკური ტეხნიკუმი და ხელოვნების სკოლა ხონში), კლუბის გახსნა და სხვ.

სარევიზიო კომისიის მოხსენება.

სარევიზიო კომისიამ აღნიშნა ბირჟის დადებითი მიღწევანი როგორც ფულის, ისე საქონლის ბაზრებზე. პირველი ადგილი ბირჟის ოპერაციებში უჭირავთ სახელმწიფო დაწესებულებებს (88 1 პროც. გამყიდველი და 50,4 პროც. მყიდველი), შემდეგ კერძო ფირმები და ვაჭრები (10,1 პროც. გამყიდველი და 28,2 პროც. მყიდველი) და ბოლოს კოოპერაცია (1,8 პროც. გამყიდველი და 20,6 პროც. მყიდველი). ეს ციფრები იმას მაჩვენებელია, რომ კოოპერაცია არ სარგებლობს ბირჟით, როგორც სავაჭრო აპარატით და უპირატესობას აძლევს კერძო შუამავლობას. კოოპერაციას თავის დანიშნულების მიხედვით პირველი ადგილი უნდა ეჭიროს ბირჟის ოპერაციებში, მაგრამ უკანასკნელი ადგილი უჭირავს. ბირჟამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა მიიზიდოს კოოპერაცია როგორც უკვე სახელ. დაწესებულებები.

სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ, მოხდა არჩევნები საბირჟო კომიტეტის, სარევიზიო კომისიის და მათი კანდიდატების. არჩეულნი არიან:

საბირჟო კომიტეტში: ამხ. კალანტაროვი, დარიბოვი, არუშიძე, ვანციანი, ალიბაბოვი, წიწიშვილი, მოდებაძე, ჩხენკელი, ლისკუტოვი და ბოკოვი; კანდიდატებად: აკიმოვი, შანთურია, მელიქოვი, მენაბდე, ბოყდამოვი და ჩირნიევი.

კერძო ფირმებიდან: ღარიბელიძე, გევორქოვი, შაქარიმოვი, ლაღიძე და სვანიშვილი; კანდიდატებად: თავართქილაძე და ვერაზიშვილი

სარევიზიო კომისიაში: შენიძე, ეგოროვი და გრიგორიანცი: კანდიდატებად: სტეფანოვი და გოლინკო.

მეცნიერება და ტეხნიკა

გვირაბი ლამანშის ქვეშ.

უკანასკნელ ხანებში კვლავ ხშირად სატრანსპორტო ტეხნიკა ოცნებობს ორ პროექტზე: პირდაპირ სარკინიგზო მიმოსვლაზე ინგლისსა და საფრანგეთს შორის და ინგლისსა და ირლანდიას შორის.

ამ პროექტებში არის სამი როთული და ძნელი ადგილი. ამ გზების განუხორციელებლად საჭიროა სამი გვირაბის გაყვანა: ბოსფორის, ჰიბრალტარის და ლამანშის. ამ სამ პროექტის ქვეშ საჭიროა გვირაბების გაყვანა

ჰიბრალტარსა და ბოსფორს შორის გვირაბების პროექტები ჯერ-ჯერობით არ არის ვრცლად დამუშავებული, მაგრამ ლამანშის ქვეშ (საფრანგეთის და ინგლისის შორის) გვირაბის პროექტს ასი წლის ისტორია აქვს და თუ ის განუხორციელებელი არის, არა იმიტომ, რომ ის ტეხნიკურად განუხორციელებელია, არამედ იმიტომ, რომ ინგლისს ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია ასეთი დიდი საქმისათვის ხელის მოკიდება.

ლამანშის ქვეშ გვირაბის პროექტი ასიოდე წლის წინათ შეადგინა ფრანგმა ინჟინერმა მატიემ. ეს პროექტი მან ნაპოლეონ პირველს წარუდგინა. პროექტი ძლიერ მოეწონა ნაპოლეონს რადგან მისი განხორციელება საშუალებას მისცემდა მას ინგლისის ზღვაზე ბატონობისათვის ბოლო მოეღო.

მაგრამ ნაპოლეონი იძულებული გახდა ხელი აეღო ამ პროექტზე, რადგან ინგლისის წინააღმდეგი თანხმობის გარეშე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო ასეთი დიდი საქმის განხორციელებაზე.

1857 წლამდი ლამანშის ქვეშ გვირაბი დავიწყებული იყო. ამ წელს კი ისეთ ფრანგმა ინჟინერმა ტომ-დე გამონმა ხელი მოჰკიდა მატიეს პროექტს, განავრცელა ის მაშინდელი ტეხნიკის მიხედვით.

გამონის წინადადებას გამოეხმაურა ორივე სახელმწიფო და ბევრს ეგონა, რომ სულ რამდენიმე წლის განმავლობაში ლამანშის გვირაბი ფაქტი გახდებოდა.

მაგრამ ძლიერი აღმოჩნდნენ ინგლისში ის წრეები, რომლებიც მატერიალურად იყვნენ დაინტერესებული გემთა საზოგადოებების საქმეებში პროექტიც ჩაიშალა ვითომდა იმიტომ, რომ მისი განხორციელება სამხედრო საფრთხეს ქმნიდა ინგლისისათვის

და მხოლოდ 1876 წელს ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ძალაში იქნებოდა ამ შეთანხმების ძალით, პარლამენტმა რამდენჯერმე გადადო თანხები ცდებისა და გამოკვლევებისათვის უკვე რამდენიმე მილიონი მანეთი გადადებული გვირაბის ასაშენებლად

მუშაობა დაწყებულია ორივე მხრიდან: ინგლისში—შექსპირის კლდიდან (ქ. დუვრის ახლო) და საფრანგეთში სანგატთან (კალეს ახლო).

გვირაბის სიგრძე იქნება 49 ნახევარი ვერსი, საიდანაც 31 ვერსი წყალქვეშ იქნება.

ჯერ-ჯერობით ორივე მხრიდან გვირაბი გაყვანილია ორ-ორი ვერსის მანძილზე.

გვირაბი ჯერ-ჯერობით ერთია, მაგრამ ახლო ხანში განზრახული აქვთ პირველი გვირაბიდან 7 საჟენის მანძილზე გაიყვანონ მეორე გვირაბი.

გამოანგარიშებულია, რომ დღეში გაჭრილი იქნება 10 საჟენი, ამ ანგარიშით გვირაბი საბოლოოთ მზად იქნება 5 წლის შემდეგ.

გვირაბის აშენება დაჯდება 800 მილიონი ფრანკი (დაახლოებით სამასი მილიონი მანეთი) 1919 წ. ფასებით პირველ ხანებში ლონდონ-პარიზში გვირაბით გაშვებული იქნება 50 მატარებელი, მომავალისათვის ეს ციფრი 150 იქნება გადიდებული. შემოსავალი წელიწადში დაახლოებით 20 მილიონი ფრანკი მაინც იქნება

მაგრამ განსაკუთრებით დიდი არის ის მოგება, რომელსაც იძლევა გვირაბის გაყვანა დროში. გვირაბის გავლას მატარებლით დასჭირდება სულ 30 წუთი, ისე, რომ პარიზი მაშინ ლონდონ-პარიზში მგზავრობას დასჭირდება სულ 5 საათი.

სხვადასხვა

4 წლის ბავში—2 ფ. 4 გირვანქა

ამ რამდენიმე ხნის წინათ ვლადიკავკაზიდან მოსკოვში ჩაიყვანეს და პროფესორ ვ. ი. მალჩანოვის კლინიკაში მოათავსეს გასაოცარი ბავში

ეს ბავში მხოლოდ 4 წლისა 11 თვის არის. მისი სიმაღლე არშინ ნახევარს უდრის, იწონის 2 ფ 4 გირვანქას. სახეზე მას უკვე ეჩნევა წვერულვაში ძვლები და კუნთები ძლიერ განვითარებული აქვს, თითქმის ისე, როგორც დიდებს სასქესო ორგანო განვითარებული აქვს ისე, როგორც ჭაბუკს. სასქესო ჯირკვლები, ხილის დაჭერის დროს გამოყოფენ სავსებით მომწიფებულ სპერმატოზოიდებს, ე. ი. მამაკაცის თესლს.

მაგრამ გონებრივად და ფსიქიურად ბავში ისე არის განვითარებული, როგორიც უნდა იყოს მისი ხნისის ბავში: სქესობრივი მოთხოვნილებები არა აქვს. თავს ირთობს სათამაშოებით, მიზეზობს.

პროფესორმა მოლჩანოვმა გამოარკვია, რომ ბავშვის მშობლები სრულიად ჯანსაღნი და ნორმალური იყვნენ. ბავშვიც ნორმალურათ იშვა, მაგრამ პირველივე წლიდან დაიწყო სწრაფად ზრდა.

ასეთი არანორმალური ფიზიკური განვითარება იშვიათია. გამოწვეულია ის შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების (შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები რამოდენიმეა, მათ მოქმედებას სისხლით და ყოველმხრივ ჯერ არ არის შესწავლილი. ისინი გამოყოფენ სითხეს, რომელიც ადამიანის ორგანოების მუშაობაზე გავლენას ახდენენ), ალბათ, რესისტური ჯირკვლის აშლილობით.



სურათზე გადაღებულია ბავშვი გამზრდელთან ერთად

ქრონიკა

■ **კურსები ციებ ცხელების შესწავლად.** ჯანმრთელობის კომისარიატის სანიტარულ-ეპიდემიურ განყოფილებამ ტროპიკულ ინსტიტუტში გახსნა ორთვიანი კურსები ციებ-ცხელების შესასწავლად კურსებზე მეცადინეობენ მაზრის ექიმები. მეცადინეობა დასრულდება 15 ივნისამდე.

■ **წყლის მიწოდება მაღლობზე მცხოვრებთათვის.** სიცხეების მოახლოების გამო, მაღლობ ადგილებზე მცხოვრებლებს წყალსადენი მიაწოდებს წყალს 200,000 ვედროზე მეტს ჩვეულებრივზე

■ **ტრამვაის ვაგონების შეკეთება** ქალაქის ტრამვაის გამგეობამ უკანასკნელ ხანს კიდევ შეაკეთა 5 ვაგონი

■ **თურქული შრიფტი** ა.-კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატმა აზერბაიჯანის რესპუბლიკისათვის ინგლისში შეუკვეთა თურქული ახალი ანბანის შრიფტი

■ **ხალხთა მიწ.** ა—კ ცენტრალურ აღმასრ. კომიტეტმა დაადგინა სიღნაღ-ზაქათალის შორის მიწის ტყეების სადაო საკითხის გადასაჭრელად გაგზავნოს განსაკუთრებული კომისია.

■ **სახალხო სახლები მაზრებში.** სოფელ ჩოჩხათში (გურია) გლეხკომმა გადაწყვიტა აგოს სახალხო სახლი და მოაწყოს საცდელ-საჩვენებელი მინდორი.

■ **ობლების საპატრონო.** ველის ციხის (კახეთი) გლეხთა კომიტეტმა გადაწყვიტა ველისციხეში მოაწყოს ობოლთა თავშესაფარი

■ **პურის გამოცხობა.** ა—კ. მომხმარებელ საზოგადოებამ გადაწყვიტა პურის გამოცხობა კოოპერატივებში გაადიდოს 2000 ფუთამდე.

■ **შრომის ბირჟა.** 17 მაისს შრომის ბირჟაში გამოცხადდა—110, ახლად ჩაეწერა—55, მოთხოვნილება იყო—41, სამუშაოზე გაიგზავნა—45 უმუშევარი

შეცდომის გასწორება ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში (112) მუშათა ცხოვრების განყოფილებაში წერილში „სტამბის გამგეც ასეთი უნდა" შეცდომით იწერია: „ერთიმეორე ბინა გაუტეხოს". უნდა იყოს „ერთიმეორეს მანქ. გაუტეხოს".

შემთხვევები

■ **თავის დახრჩობის განზრახვა.** 16 მაისს ღამის 10 საათზე ორჯონიკიძის ქ. № 94 მცხ. კოკი რამიშვილმა თავის დახრჩობის მიზნით ოთახის შუა ჭერის ჩანგალზე ჩამოაბა ბაწარი და წაიჭირა ყელში ბაწარი თავის დასახრჩობად, რაც შემჩნეული იქნა მეზობლების მიერ და გადარჩენილი რამიშვილი წაიყვანეს რკ. გზის საავადმყოფოში.

■ **მუშკოპის თევზის საწყობის გაქურდვა.** 15 მაისს ლენინის ქ. № 1, გაქურდული იქნა მუშკოპის თევზის საწყობი წაღებულია 200 მან. საქონელი.

■ **შეპყრობა.** 16 მაისს შეიპყრეს გრიგოლ სარქისოვი ნაქურდალი ნივთებით, მოპარული ყირგიზოვის ბინიდან.

■ **ქურდობა.** 16 მაისს, ღამის 2 საათზე ტყის შესახ. № 41 გაქურდეს მცხ. პეტრე ჩემელიას ბინა. წაღებული ნივთების ღირებულება გამოურკვეველია.

16 მაისს საღამოს 9 საათზე მილიციის ქ. № 12 გაქურდეს მცხ. არტემ ოშიაძის ბინა, წაღებულია 40 მან. ნივთები.

■ **შეპყრობა.** 16 მაისს „ივერთა კავშირიდან" პუშკინის ქ. № 7, მოიპარეს ერთი ყვითელი ფერის ხალათი, ქურდი გუსეინ აზან-ოღლი შეიპყრეს.

■ **ქურდი ცოლი.** 16 მაისს დილის 7 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, გოგოლის ქ. № 66, გაქურდეს მცხ. ივანე გამაკინის ბინა. წაღებულია 235 მან. ნივთები. ქურდები აღმოჩნდნენ: დაზარალებულის ცოლი მართა ვასილის ასული გამაკინისა და ნადეჟდა ლიაქტინოვა. ქურდებს თან აღმოაჩნდათ ნაქურდალი ნივთები.

ხელოვნება

ლ. ზომმერის კონცერტი

სახელმწიფო კონსერვატორიის ნიჭიერი მოწაფე (პროფ. ტრუსკოვსკის კლასი) ლეონარდ ზომმერი მიმდინარე მუსიკალურ სეზონში მეორეთ გამოვიდა დამოუკიდებელი კონცერტით (ფორტეპიანოს სალამო).

მისი კონცერტის პროგრამა ფორტეპიანოს ლიტერატურის სერიოზულ და ცნობილ ნაწარმოებებიდან შესდგებოდა. ზომმერმა ბრწყინვალეთ დაიჭირა გამოცდა.

ყველა ეს კონტრასტები დინამიკაში, ზუსტად დაუმთავრებელი ტეხნიკა და დამორჩილებული ტემპერამენტი (მე 12 რაპსოდია, სკრიაბინის ეტიუდი) წარმავალი მოვლენაა და ეჭვს გარეშეა, რომ ზომმერი მომავალში უეჭველად დიდი პიანისტი დარჩება:

ახალგაზრდა პიანისტი თავისუფლად გრძნობს თავს როიალთან, ის მოფიქრებით ასრულებს თვითეულ ნაწარმოებს.

პროგრამის პირველი განყოფილება მიძღვნილი იყო შოპენის შემოქმედებისადმი. ბალადა მოფიქრებულათ და ლამაზათ იყო შესრულებული: სჩანდა ბგერის განაწილება, გამოყოფილი იყო მელოდიური პერიოდები; ტეხნიკურად მხრივაც შესრულება ამოცანის სიმაღლეზე.

მეორე განყოფილებაში შესრულებულ იქნა შუმანის „კარნავალი". სჩანს ამ კაპიტალური ნაწარმოების სერიოზული შესწავლა და ამიტომ შესრულებაც დამთავრებული გამოვიდა.

მეტად ლამაზათ იყო შესრულებული სკრიაბინის ორივე პრელიუდიები და ერთი ეტიუდი.

მუსიკალურათ და მოფიქრებულათ შესრულა პიანისტმა ლისტის ნოკტიურნი.

[illegible]

—

ავლაბრის მუშათა კლუბში

17 მაისს, ავლაბრის მუშათა კლუბში ამხ. მირველოვის ხელმძღვანელობით ძველ სცენის მოყვარეთა მიერ სადღესასწაულოდ წარმოდგენილი იყო ქართულ ენაზე 4 მოქმედებიანი დრამა „ციმბირელი". პეტუას როლს ასრულებდა გ. ფურცმანი, ციმბირელის როლს—მ. სულთანიშვილი, ციმბირელის ცოლის როლს—ქართველიშვილი, ნიკოლას როლს—მელიშვილი. ეს წარმოდგენა საუცხოოდ უნდა ჩაითვალოს, ხოლო სამწუხაროა, რომ თეატრს არ მოეპოვება სათანადო დეკორაცია.

სასურველია, რომ სუფლიორი ცოტა ხმა-დაბლა უკარნახებდეს მსახიობებს.

ე. ჯ.

—

■ **აკადემიურ გუნდში.** მთავარი სახელოვნო კომიტეტის დადგენილებით მომღერლები ჩაირიცხება სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიურ გუნდში.

1924 წ. საგლეხო მომგებიანი სესხი

კ. პ. ცენტრალურ და საოლქო კომიტეტებს

(საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებებს)

საჭიროა სასწრაფო წესით შეუდგეთ საგლეხო მომგებიანი სესხის განაღდებისათვის ფართო საგიტაციო საპროპაგანდო კამპანიის დაწყებას.

კამპანიის გატარების დროს ადგილობრივმა საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სესხის სარგებლიანობა, დაინტერესონ გლეხები სესხის ობლიგაციების შეძენით, აუხსნან მათ, რომ სესხის ობლიგაციებით შეიძლება გადასახადების გადახდა. მიღებული უნდა იქნას ზომები იმისათვის, რომ სესხის განაღდებაში მონაწილეობა მიიღოს გლეხობას რაც შეიძლება ფართო მასებმა პრესაში უნდა გაიმართოს ფართო კამპანია. სოფლებში უნდა მოეწყოს კრებები, მიტინგები და საუბრები

კამპანიის ჩატარების დროს, როგორც მასალა, გამოყენებული უნდა იქნას რ. კ. პ. საოლქო კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების თეზისები და ბროშიურა საგლეხო სესხის შესახებ.

მიღწეული შედეგების შესახებ პერიოდულად აცნობეთ საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებას.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი მიასნიკოვი.
საგ.-საპრ. განყ. გამგის მაგიერ მ. ტოხუა.

—

თეზისები

1. ხანგრძლივი და ენერგიული მუშაობის შემდეგ რესპუბლიკების კავშირის ფინანსების გასაჯანსაღებლად, რათა მომავალში უფრო გაუმჯობესდეს ჩვენი მეურნეობის განვითარების პირობები, საბჭოთა მთავრობა შეუდგა მსხვილი ფინანსიური ღონისძიების გატარებას,—ფინანსიურმა რეფორმამ, რომელიც ახლა ტარდება, ახალი ჯანსაღი საფუძვლები უნდა შეუქმნას მთელს ჩვენს სამეურნეო ცხოვრებას.

2. რათა ეს რეფორმა მეტის წარმატებით ჩატარდეს, ამისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ჩვენი საბიუჯეტო დეფიციტის (დეფიციტი ეწოდება ისეთ მდგომარეობას, როცა სახელმწიფო ხარჯები აჭარბებენ შემოსავალს) შემცირება და ამ დეფიციტის დაყვანა ისეთ რაოდენობამდი, როცა მისი დაფარვა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკრედიტო ოპერაციების საშუალებით, ე. ი. სახელმწიფო სესხის გამოშვებით,—სხვანაირად რომ ვსთქვათ, რეფორმის წარმატებით ჩატარების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ისეთი მდგომარეობის შექმნა, როცა სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად არ იქნება საჭირო ახალი ფულების გამოშვება.

3. იმის და მიხედვით, თუ როგორია ამ სესხების ახლანდელი მიზნები, სესხი შეიძლება იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოკლევადიან სესხს უშვებენ იმისათვის, რომ დროებით შეამსუბუქონ სახელმწიფო კასების მდგომარეობა, რომლებიც ახლო ხანში სულ ერთია შეივსებიან სხვა და სხვა გადასახადების შემოსავლით ან და სხვა შემოსავლით. ასეთი ხასიათის სესხები იყო საბჭოთა მთავრობის მიერ თავის დროზე გამოშვებული პურის (2) და შაქრის სესხები.

გრძელვადიან სესხს უშვებენ უფრო ხანგრძლივი ვადით. მათ მიზანს აქვთ საჭიროებების მიღება განსაზღვრულ საბიუჯეტო პერიოდში მოსალოდნელი საერთო დეფიციტის და საფარავად და სახელმწიფო წარმოებებისათვის საჭირო მსხვილი ხარჯების გასაწევად.

4. მოკლევადიანი სესხის რაც შეიძლება დაჩქარებით განაღდების საჭიროება აიძულებს მთავრობას მეტი შეღავათები მიანიჭოს მყიდველებს, სესხის და პროცენტების გადახდის მოკლე ვადა კი ადიდებს წლიური პროცენტის რაოდენობას. ამ რიგად მოკლევადიანი სესხი ნაკლებ ხელსაყრელია სახელმწიფოსათვის, ვიდრე გრძელვადიანი

5 გრძელვადიანი სესხების რიცხვს ეკუთვნიან 1 და მეორე ოქროს მომგებიანი სესხი, 8 პროც. ოქროს სესხი (სადგარანტიო) და საგლეხო მომგებიანი სესხი პირველი სამი უნდა განაწილდეს ქალაქის მოსახლეობასა და აგრეთვე სავაჭრო და სამრეწველო წარმოებებს შორის, უკანასკნელი სესხი კი სპეციალურად გლეხ მოსახლეობის საჭიროებისთან არის შეგუებული.

6. გლეხებს რევოლუციამდი არასოდეს არ შეუძენიათ სესხის ობლიგაციები, რადგან ამ ობლიგაციების ფასი გლეხობისათვის მიუწვდომელი იყო. აქამდე სხვა საბჭ. რესპუბლიკებში, რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, მთავრობამ უკვე მოამზადა ნიადაგი სესხის გასანაღდებლად გლეხებს შორის: იქ გამოშვებული იქნა ორი სესხი, პურის სესხის სახელწოდებით ორივე ეს სესხი წარმატებით იქნა განაღდებული სოფლად და დიდი ნაყოფი მოიტანა. ამიტომ, საგლეხო სესხისათვისაც, რომელსაც ახლა უშვებენ სხვა რესპუბლიკებში, უზრუნველყოფილია წარმატებით განაღდების პირობები. ჩვენში კი, ამიერ კავკასიაში, გლეხები სრულიად არ არიან გაცნობილი იმ სარგებლობასთან, რომელსაც იძლევა სესხის ობლიგაციების შეძენით.

7. როგორც წინანდელ პურის სესხებში, ისე ახლანდელ საგლეხო სესხშიც დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ სესხი საგრძნობათ უმსუბუქებს გლეხს გადასახადების გადახდის სიმძიმეს, ამ სესხის ობლიგაციებს მიიღებენ შეღავათიან პირობებში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეტანის დროს. მაგრამ წინანდელი სესხების ობლიგაციებს იღებდენ ნატურით გადასახადის ნაცვლად, რაც სარგებლობას აძლევდა გლეხს, იმ მნიშვნელობით, რომ გლეხს შეეძლო გადასახადი ობლიგაციებით შეეტანა და არ წაეღო თავისი პური შორეულ ჩასაბარებელ პუნქტზე, სადაც ეს პური შეეძლოთ დაეწუნებიათ.

ახლა კი სასოფლო სამეურნეო გადასახადი მიიღება არა ნატურით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ფულით და ამიტომ გლეხობა წინანდელ შეღავათებს ამ სესხის საშუალებით აღარ საჭიროებს

8 ახალი საგლეხო სესხის ობლიგაციებს სხვა უპირატესობა აქვთ მათი შეძენისათვის.

ობლიგაციების გამოსაშვები კურსი, ე. ი. მათი გასაყიდი ფასი დაწესებულია 85 კ მანეთში. ამრიგად გლეხი, რომელმაც შეიძინა ობლიგაცია, შემდეგში გადასახადის შეტანის ან მთავრობის მიერ ობლიგაციების გამოსყიდვის დროს, თითეულ მანეთზე სამ შაურს იგებს

მეორე სარგებლობა მდგომარეობს იმაში, რომ ამ სესხის ობლიგაციები მათ პატრონს აძლევენ წელიწადში 5 პროც. შემოსავალს. პროცენტების მიღება შეიძლება 2 ვადაში: 1925 წლის 1 ლ თებერვალს და 1926 წ. პირველ თებერვალს.

შემდეგ, ამ სესხის დიდ სარგებლიანობას წარმოადგენს ის, რომ მის შემძენს შეუძლია მოიგოს დიდი თანხა 1924 წლის პირველ ნოემბრიდან ორნახევარი წლის განმავლობაში 8 ჯერ მოხდება გათამაშება. სულ, ამ ხნის განმავლობაში, მოგებათა რაოდენობა უდრის 177 280, ჯამი კი—2 მილიონ მანეთს ოქროთი: 100,000 მოგება—ხუთ-ხუთი მანეთი, 50000 მოგება—ათ-ათი მან., 20,000 მოგება—25 ოცდახუთი მანეთი, 6000 მოგება—ორმოცდაათი—ორმოცდაათი მანეთი, 1200 მოგება—ას ასი მანეთი და 80 მოგება—ათას-ათასი მანეთი.

სესხის ობლიგაციები (იგივე მომგებიანი ბილეთები) გამოშვებული იქნებიან ერთი მანეთიანი ღირებულებით—ერთი მომგებიანი ნომერით, სამ მანეთიანი ღირებულების—სამი მომგებიანი ნომერით და ხუთ მანეთიანი—ხუთი მომგებიანი ნომერით. თითეულ ბილეთის თითო ნომერს შეუძლია მოიგოს ცალკ-ცალკე

ნომერი, რომელსაც შეხვდება მოგება, არ კარგავს ძალას და შეუძლია მოიგოს შემდეგი გათამაშების დროს,

ობლიგაციების მოგების შესაძლებლობა ძალიან დიდია: საშუალოდ 282 ნომერში იგებს ერთი ბილეთი.

დაბოლოს კიდევ ერთი უპირატესობა აქვს ახლანდელ სესხს წინანდელი პურის სესხის ობლიგაციებთან შედარებით ეს ობლიგაციები მიიღებიან არა მარტო გადასახადების სახით, არამედ იმ სესხის უზრუნველსაყოფადაც, რომლებსაც გლეხები იღებენ სასოფლო სამეურნეო ბანკებიდან და სასოფლო სამეურნეო საკრედიტო საზოგადოებებიდან ობლიგაციების ნომინალური ღირებულების 75 პროც.-ის რაოდენობით.

ამრიგად, ახლანდელი სესხის პირობები გაცილებით მეტ სარგებლობას აძლევენ მომგებიანი ბილეთების მეპატრონეებს, ვიდრე ის პირობები, რომლითაც პურის სესხები იყო გამოშვებული.

9 საგლეხო სესხი გამოშვებული იქნება 50 მილიონი მანეთის რაოდენობით ცალკე ნაწილებათ (სერიებათ). პირველი გათამაშება მოხდება არა უგვიანეს 1924 წლის პირველ ნოემბრისა. სესხის ყველა ობლიგაციები გამოსყიდული იქნება მთავრობის მიერ 1927 წელს მანეთად მანეთში. ობლიგაციები, მათი ყიდვა გაყიდვა და აგრეთვე მოგება, თავისუფალი არის ყოველგვარი გადასახადებიდან. ამ ობლიგაციების გაყიდვა და დაგირავება თავისუფლად შეიძლება. სახელმწიფო დაწესებულებები და წარმოებები მათ მიიღებენ გირაოთ ყოველგვარ იჯარებისა და მიწოდების დროს.

10. დაწესებული შეღავათიანი გამოსაშვები კურსი ძალაში იქნება მხოლოდ ხელის მოწერის დროს, შემდეგ კი ეს კურსი გადიდებული იქნება. ამიტომ, გლეხებმა, რომლებსაც სურთ გამოიყენონ ყველა ის სარგებლობა, რომელსაც მათ სესხი აძლევს, უნდა დაიჩქარონ სესხის ობლიგაციებზე ხელის მოწერით და ამას გარდა, რასაკვირველია, შეეცადონ, რომ აიცილონ ყოველგვარი მესამე პირები და შეიძინონ ობლიგაციები მხოლოდ იქ, სადაც მათზე ოფიციალურად მიიღება ხელის მოწერა: საფინანსო განყოფილებებში, შემნახველ კასებში, ბანკებში და კოოპერატიულ ორგანიზაციებში.

11. გლეხ—ხელის მომწერლებს ეძლევათ ხელსაყრელი შემთხვევა სესხის განაღდებაში მონაწილეობით მიიღონ დიდი სარგებლობა და ამავე დროს შეასრულონ თავისი მოვალეობა მუშურ-გლეხური მთავრობის წინაშე, რომელიც ახლა ფულებს საჭიროებს და იმავე დროს არ სწყვეტს ენერგიულ მუშაობას გლეხის მეურნეობის შესაფერ დონემდი ასამაღლებლად.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება

■ **სახ. კონსერვატორიის სტუდენტთა საბჭო.** სახელოვნო კომიტეტმა დაადგინა, რომ სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტთა საბჭოს ეძლეოდეს მომავალ სამოსწავლო წლიდან სწავლის ფულის შემოსავლიდან 1 პროც.

■ **იუბილეები.** მთავარი სახელოვნო კომიტეტმა გადაწყვიტა იუბილეების რიცხვი ყოველწლიურად განისაზღვროს სეზონის დასაწყისში.

■ **სახალხო თეატრი.** სახალხო თეატრის დასი მიემგზავრება დასავლეთ საქართველოში სახ სახლის 30 წლის იუბილეს აღსანიშნავ წარმოდგენების მოსაწყობათ

■ **ცენტრალურ პარტიულ კლუბში** დღეს, 20 მაისს ცენტრალურ პარტიულ კლუბში გაიმართება დისკუსია პროლეტკულტის წითელი თეატრის შესახებ მომხსენებელია ამხ. იგნატოვი, დისკუსიაში მონაწილეობას მიიღებენ ლიტერატორები და სხვები დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე

პროვინციაში

საბჭოთა აპარატის რეორგანიზაცია სენაკის მაზრაში

სრულიად საქართველოს საბჭოების მე-2 ყრილობის დადგენილებას, სამაზრო აღმასკომების აპარატის რეორგანიზაციის შესახებ, სამაზრო აღმასკომი შეხვდა ჯეროვანი ყურადღებით და შეუდგა თავის აპარატის გამარტივებას აღნიშნულ დადგენილების საფუძველზე, ა/წ 11 იანვარს აღმასკომის პლენუმმა გამოიტანა დადგენილება აპარატის მოწყობის შესახებ შემდეგნაირად: აღმასკომთან არსებობს საერთო, საფინანსო და ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებები. განათლების, ჯანმრთელობის და სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებები მოიხსნენ. თითეულ ამ დარგს ცალ ცალკე განაგებს თითო ინსპექტორი, რომელიც ამოქმედდება გეგმ სთან დაკავშირებულ საკითხებში ექვემდებარება საერთო განყოფილების გამგეს. უკანასკნელი არის თავმჯდომარის მოადგილე და იმავე დროს მდივანიც. საერთო განყოფილების კანცელარია იყოფა მაგიდებად, როგორიც მაგ. საინსტრუქციო საინფორმაციო, სტატისტიკის და მმართ. ამავე დროს კანცელარია ემსახურება განათლების, ჯანმრთელობის და სოციალურ უზრუნველყოფის ინსპექტორებს. კანცელარიის სათავეში დგას საქმეთა მმართველი იგივე საინსტრუქციო საინფორმაციო მაგ. გამგე. ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებას განაგებს პრეზიდიუმის წევრი განყოფილებასთან არსებობს კომუნალური და მიწათ მოქმედების ქ/განყოფილებები. მიწათ მოქმედების ქ/განყოფილება თავის მხრივ იყოფა სექციებად: აგრონომიულ, სატყეო და ვეტერინალურ სექციებად. საფინანსო განყოფილება შესდგება გადასახადთა და საანგარიშო-სალარო ქ/განყოფილებისაგან

რეორგანიზაცია 1 თებერვლიდან ფაქტიურად გატარებულია. დღიდან ტაბის თავიდან ასაცილებლად გამოშვებული იქნა ინსტრუქცია ქ/განყოფილებათა და ინსპექტორთათვის.

სრ. საქ. საბჭ. მე 2 ყრილობის დადგენილება სენაკის მაზრაში კარგათ ხანია გატარებული არის; მისი დიდი აზრი—აპარატის გამარტივება შემცირების პრინციპით სავსებით განხორციელებულია.

ასეთივე სისწორით გატარდა მაზრის დაყოფა რაიონებად წარსული წლის 15 დეკემბრიდან თემის აღმასკომები გაუქმებულ იქნენ და მოქმედება დაიწყეს სარაიონო აღმასკომებმა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი რეორგანიზაცია სენაკის მაზრის აღმასკომს დიდი ხანია, რაც საჭიროთ მიაჩნდა, ამიტომ ის ჩატარებულ იქნა სრულიად უმტკივნეულოთ და ყოველგვარი გაუგებრობის გამოწვევის გარეშე

სენაკის სამაზრო აღმასკომის საქმეთა მმართველი ა. კიდუ.

რუისის რაიონი (გორის მაზრა)

საერთოდ რაიონის სოფლების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მოსავლის პერსპექტივა ჯერ-ჯერობით საიმისო არა ეტყობა რა, ხოლო ძალიან მოიქცა, თუ ან რთველმა და ან სეტყვამ არ დააზარალა. გვალვა დიდია: ეს სამი თუ ოთხი დღეა გვალვის ბური სდგას ჰაერში; რას გვიქადის ძალიან სათქმელია.

ურთიერთ გლეხთა დამხმარე კომიტეტები მუშაობენ: არიგებენ ფართალს და ჰკრეფავენ პირნახულს სიზანტე არ ემჩნევათ; სათავეში მდგომი სარაიონო ურთიერთ შორის გლეხთა კომიტეტის წევრები, ჩიტიაშვილი და მეჩხერ ებრძვიან გულგრილობას იმდენად და ნიშნებიც არის, რომ დაძლევენ ამ გულგრილობას სოფლების კომიტეტებისას. სოფლების კომიტეტს შეკრებილი აქვთ 4000 ფუთამდე; დახარჩენის შესავსებად მიღებულია ზომები.

მოთხოვნილება ცენტრისა, რომ წარდგენილი იყოს ფულად იმ ფართლის ღირებულება, რომელიც დარიგებული არის რაიონში, უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ადგილობრივ კომიტეტებს.

ფართალი კომიტეტებს აქვთ გაცემული პირნახულზე: ფუთი პური ნაანგარიშევი აქვთ 1 მან. 10 კაპ. დღეს კი ფუთის ღირებულება გამოცხადებული არის 70 კ., ასე რომ ფულად გადახდით საგრძნობი ზარალი მოუვა კომიტეტების სალაროს.

ი. მ.

ხოფ პრიუტი (მანგლისის რაიონი)

პრიუტის თემი შესდგება 19 სოფლისაგან. ამ თემში ანტი-რელიგიური კამპანიის მუშაობის ნაყოფი სრულებით არ სჩანს. ხალხი ცრუმორწმუნეობით არის გაჟღენთილი. ყველა სოფლებში არსებობს ეკლესია, ხელშეუხებლად ყველა სოფელს ჰყავს მიჩენილი მღვდლები, რომლებიც ძველებურად შეაქცევიან „ნაკურთხს" და აგროვებენ შეწირულებას. ამ თემში ძალიან იშვიათია, რომ უმღვდელოთ დაქორწინება, ბავშვის მონათვლა, ან და მიცვალებულის დასვენება მოხდეს. შემთხვევა იყო ასეთი: მიცვალებულის პატრონი ძალიან უკიდურესი ღარიბი იყო და აუცილებლად მღვდლის თანდასწრებით უნდა დაესვენებინა თავისი მიცვალებული, გლეხს არ ჰქონდა საშუალება მღვდლისთვის რაიმე მიეცა და მღვდელიც ისე არ მოჰყვებოდა, გლეხი იძულებული შეიქნა, შეუძლებლობის გამო, უკანასკნელი 5 ქათამი აეყვანა და მიეცა მღვდლისათვის მიცვალებულის გასვენებაში სოფ. პრიუტის მახლობლად 2 ვერსზე მდებარეობს წმინდა გიორგის ეკლესია, სადაც წელიწადში ორჯერ დანიშნულ დღეებზე თავს იყრის გლეხობა. მოდიან მრავალი შეწირულებით, ოქროულობით, თუ ასეთი ვინმეს გააჩნია, ითხოვენ საქონლით და სხვა მრავალი სანოვაგით და აი, სწორედ ეს დღე იყო 6 მაისი, სადაც ამ ეკლესიის მრავალი ხალხი მოაწყდა სხვადასხვა სოფლებიდან, დაქვეითებული ურმებით. ერთიმეორეს გაამწყდარეს ამ ეკლესიის წუქა ხორა ბერები და მღვდლები.

საჭიროა ცრუმორწმუნეობას სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს. მოწინავე ამხანაგებმა ამას უნდა მიაქციონ ყურადღება.

ბაკო დლონტა.

პატარა ონი (რაჭა)

საქართველოს გასაბჭოების სამი წლის აღსანიშნავად პატარა ონის რაიონის მცხოვრებლებმა თავის საერთო კრებაზე და საგანგებოთ გამართულ საზეიმო მიტინგზე გამოიტანეს ერთხმად დადგენილება, რომ პატარა ონში აშენდეს სახალხო სახლი სამკითხველოთი, თეატრი და კლუბით, რისთვისაც იქნა არჩეული სააღმშენებლო კომისია, რომელსაც აქვს დავალებული სახალხო სახლისათვის საჭირო ფონდის გამონახვა, შემომწირველების შეგროვება და სხ. კომისიაში არიან არჩეული: თ. სადარაძე, ლ. მახარაშვილი, გიორ თავდგირიძე, ივ. რაზმაძე, ლ ქარაზანაშვილი და ლად. ისელიძე

პირველი მაგალითი შემოწირულებისა მისცა ამ საქმის ერთმა ენთუზიასტმა—ამხანაგმა ლონდ. მახარაშვილმა, რომელმაც შესწირა სახალხო სახლის ასაშენებლად ნახ ქვევრი მიწა. სახელდობრ „მ ნდვრის სათიბი" და ფულადაც გაიღო, 100 მანეთი. მასვე მეუღლემ ნინა სან ძამ თავისი შემოწირულებით საზეიმო შესწირა 50 მანეთი. ამათ გამოძახილს წამოეცნენ სხვებმაც და შემოწირულება გროვდება კომისიის წევრებთან. შემომწირველთა სია იქნება ცალკე გამოქვეყნებული.

იმედია რომ ლონდ. მახარაშვილის მაგალითს წაბაძავენ სხვებიც, არ დაიშურებენ თავიანთ წვლილს და ამით დააბოლოვებენ დაწყებულ საქმეს, რითაც მისცემენ ჩამორჩენილ კუთხეს გათვითცნობიერების, კულტურული ამაღლების საშუალებას

ბაჩუკი.

ჭყვინის თემი (სამტრედიის რაიონი)

გაზეთ „კომუნისტის"-ს 78 და 93 №№-ში ა/წ. მოთავსებულია ორი კორესპონდენცია ა. კეკელიასი და ლ. თხილავასი ა კეკელიას ხუთი წლის დაავადებულ ლანირ-ჭყვინის თემი თავის „ბაზრით" და ადგილ-მიცემობით გამოყავს ისე, თითქოს ეს ახლად გამოჩეკილი თემი უდრიდეს ამერიკის ქალაქ ვაშინგტონს! და თუ ლაპარაკობს, ცოტათი მართალს ლაპარაკობს, რომ ლანირ ჭყვინის დაარსებამ დიდი არევ-დარევა, შუღლი და სიძულვილი გამოიწვია მცხოვრებთა შორის. ორივე კორესპონდენტები არ შეეხნენ იმ გარემოებას, რომლის გამოქვეყნება გაზეთის ფურცლებზე საყურადღებო იქნებოდა ყველასათვის.

საქმის გარემოება შემდეგშია:

ლანირ ჭყვინი პატარა ჯიხაიში წარმოადგენდა ერთ დიდ თემს, სადაც 1000 კომლი ირიცხებოდა, ამას ჰქონდა თავისი ცენტრი შუაგულ ადგილას, სასოფლო სამმართველო, სკოლა, კოოპერატივი, შემნახველ გამსესხებელი კასა—იყო გაზე-

მუშათა ცხოვრება

კავშირი ენერგიულად მუშაობს

ამ 6 თვის განმავლობაში სახალხო კვების კავშირმა მიუხედავად ხელმოკლეობისა, ბევრი მხრუნველობის ქვეშ სოფ. წყალსუბური, სადაც გახსნა სკოლა. ამ სოფელს სკოლის შენობა არ მოეპოვებოდა. კავშირმა სკოლისათვის გამოყო ყოფილი მემამულის ძველი შენობა, რომელსაც გაუკეთა კაპიტალური რემონტი. დღეს ამ შენობაში სკოლასთან ერთად პატარა სცენაც არის მოწყობილი, სადაც დროგამოშვებით კავშირის ძალებით იდგმება რევოლუციონური პიესები. თბილისში კავშირმა სამ ადგილას გახსნა სამკითხველოები. აქვს გახსნილი წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, ჰყავს საკუთარი სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც სისტემატიურად სდგამს სხვადასხვა ხასიათის პიესებს. ამ უკანასკნელად კავშირმა შესძლო გამოეცა კედლის გაზეთი „მკვებავი“ რუსულ და ქართულ ენებზე, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1 მაისს. განზრახულია გაზეთის თვეში ორჯერ გამოშვება.

ინფორმატორი გაითაშ.

ჩვენი წითელი სასადილო.

მ. წ. პირველი მაისიდან ვაგზლის ქუჩაზე მთლიან მუშკოოპის გამგეობამ გახსნა წითელი სასადილო, რომელიც მოთავსებულია სინათლიან შენობაში, დაცულია სისუფთავე როგორც თვით სასადილო ოთახში, ისე სამზარეულოში. სასადილოს მუშაობა წესიერად სწარმოებს; ყველაფერს აქ ეტყობა სისუფთავე და ამხანაგური თავაზიანობა, ამ სასადილოს გახსნას ვაგზლის რაიონის მუშებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს; სადილები შედარებით იაფად ეძლევათ მოსადილეთ, როგორც ადგილზედაც, ისე სახლში. სადილის ზომაც კარგად არის აღებული ასე რომ მუშები კმაყოფილი არიან წითელი სასადილოთი. კარგი იქნებოდა მხოლოდ, რომ სახლში სადილების გაცემა ხდებოდეს ორი ფანჯრიდან, რადგანაც ერთი ფანჯრიდან სახლში სადილების გაცემა და ადგილობრივ მოსადილეთა მიერ სადილის მიღება ხელს უშლის სასადილოს მუშაობას. ვუსურვებთ წითელ სასადილოს წინსვლას.

მუშკორი მელითონე

ბედნიერი მოქალაქენი.

(ქ. ადმასკომის საყურადღებოდ)

ქ. თბილისის საწყობების მე 2 ტრესტს ჰყავს დირექტორი და მისი თანაშემწე, რომელნიც ღებულობენ ჯამაგირებს სპეც-განაკვეთით. ჩვენ უნდა ვსთქვათ სიმართლე, რომ ამის საწინააღმდეგო არაფერი გვექნებოდა, რომ ამ სპეცებს ამას გარდა სხვა პრივილეგიებიც არა ჰქონდეთ. საქმე შემდეგშია: დირექტორები და გამგეები ქვე სახლის ფლ ბინებში ცხოვრობენ და უქირაოთ 5 ოთახი. დირექტორის ორი და მსახურობს რკინის გზაზე და ცხოვრობენ იქ, სადაც მათი ძმებია. მათი რიცხვი აღწევს 7 კაცს; ეს ბედნიერი ხალხი არ იხდის არც ოთახის, არც წყლის და არც განათების ქირას. მათ ყველაფერი მუქთად ეძლევათ, და თუ დასპირდებათ, დარაჯიც მათ საკუთარ განკარგულებაშია ამას უნდა მიექცეს ყურადღება და გამოსწორდეს ეს ნაკლი. მუშები უბინაოთ ვართ მცირე ჯამაგირიანი მუშები ფულს ვიხდით კომუნალური დახმარებისათვის და გვიკვირს რატომ გამონაკლისს უნდა წარმოადგენდენ ზემოაღნიშნული პირები

მუშკორი ი. გაგიძე.

ქართული ენის კურსების დამთავრება

12 მაისს მოხდა ლორის-მელიქოვის ქ. № 16 ში, საბჭოთა მოსამსახურეების უმუშევარ წევრების ლენინის სახელობის კლუბთან არსებული ქართული ენის შესასწავლი კურსების უფროსი ჯგუფის გამოცდები, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს კავშირის და საქ. პრ. კავ. საბჭოს კულტგანყოფილების წარმომადგენლებმა. გამოცდების მიზანი იყო ხსენებულ უფროსი ჯგუფის გამოშვება კურსების დამთავრების შემდეგ. გამომცდელი კომისია ფრიად კმაყოფილი დარჩა ამხანაგების მეცადინეობით. მათ კარგათ აქვთ შესწავლილი ქართული წერა კითხვა და რამოდენიმედ კიდეც ლაპარაკობენ

დარწმუნდა რა კომისია ხსენებულ ამხანაგების საკმარისად მომზადებაში, გადასწყვიტა მათი გამოშვება, კურსების დამთავრების შესახებ სათანადო მოწმობების მიცემით. ჯერ ხნობით კურსები დაამთავრა 20 მდე ამხანაგმა.

ინფორმატორი მიშა.

კომუნალურ ქუჩაზე სანათი არ არის

(ქალაქის ადმასკომის საყურადღებოდ)

აუცილებელი საჭიროება მოითხოვს ქალაქის გარეუბნები იქნეს განათებული, რომ არ მოხდეს ქურდობა, ძარცვა, და არ ისარგებლონ ბოროტ ელემენტებმა ბნელი ქუჩებით: მაგალითად მადათოვისათვის, მიხ. სამიქალაქო ქუჩანი, ან და ორთაჭალის რაიონი; დაწყებული მიხ. თუ სამიქალაქო საავადმყოფოდან № 1 გამაწყობილ სახლამდე, სამ ნახევარი ვერსის მანძილზე, მხოლოდ და მხოლოდ ოთხი ხუთი პატარა ლამპიონი არის: მეტ ნაწილად კი ამ რაიონში მუშა-მოსამსახურეები სცხოვრობენ რომელთაც საქმისათვის, რასაკვირველია, ღამითაც უხდებათ გავლა ამ ბნელ ქუჩაზე, დიდი შიშით კარგი იქნება, ვისაც ამ საქმის მოგვარება ევალება, დაჩქარებით მიიღოს ზომები ამის გამოსასწორებლად, რათა პატიოსან მცხოვრებლებს მიეცეს საშუალება თავისუფლად გავლისა ამ ქუჩაზე.

მუშკორი ა. დ. მათხოშვილი.

ფოთის ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირი

(ჩვენი ფოთელი მუშკორისაგან)

ამ ჟამად კავშირში ირიცხება 1040 მუშა. კავშირი დაყოფილია ადგილკომებად 1) მარგანეცზე მომუშავეთა ადგილკომი, 2) ტერიტორიაზე მომუშავეთა ადგილკომი, 3) რკინის გზის „ცეტრემო“-ს ადგილკომი, 4) ყულევის ადგილკომი და 5) ქალაქის მუშების.

1923 წლის ბოლოს თვემდის კავშირი იყო მოწყობილი არტელურ ნიადაგზე, რაც ძლიერ ხელს უშლიდა ყოველგვარ წმინდა პროფესიონალურ ხაზის და მისი დებულებების ცხოვრებაში გატარებას მაგრამ მიუხედავათ ყოველგვარ დაბრკოლებებისა ზოგიერთი ამხანაგების მხრივ, მმართველმა პარტიამ შესძლო გატარება ცხოვრებაში ნამდვილი პროფესიონალური ხაზის. შემდეგ კავშირი იქნა დაყოფილი ადგილკომებად და რწმუნებულებად.

თითეულ ადგილკომს ყავს თავისი პასუხისმგებელი და წევრები და ყოველივე კავშირის გამგეობის დადგენილებებს ასრულებენ და შეძლებისდაგვარად ატარებენ ცხოვრებაში.

ზემოაღნიშნული დროიდან საზ. „ჩრემო“-ს გადაეცა მუდმივი კადრი მუშების, რიცხვით—580, რომელნიც კმაყოფილი არიან თავისი ეკონომიური მდგომარეობით. ყოველგვარი ანგარიშები უსწორდებათ მუშებს თავის დროზე თვეში ორჯელ.

თეთრი ტერიტორიის ადგილკომი, რომელიც აერთიანებს 415 კაცს, დღიდან კადრის გამოყოფისა, განიცდიდა უმუშევრობას. მთავარი მიზეზი—გემების ნაკლებ მიმოსვლა და მეორე კი მუშების მრავალრიცხოვანობა

„ცეტრემო“-ს რკინის გზის მუშების ადგილკომში ირიცხება 80 კაცამდე, რომელნიც მატერიალურად განიცდიდენ ცუდ მდგომარეობას, თუმცა ამ წელში ცოტათი გაუმჯობესდა მათი მდგომარეობა, მაგრამ საჭიროა მეტი ყურადღების მიქცევა—კავშირის მხრივ. ყულევის ადგილკომი, რომელიც აერთიანებს 40 მუშას, თუმცა ისინი დაშორებულია ფოთზე 12 ვერსით, გამგეობა შეძლებისდაგვარად უწევს მას ყოველგვარ ხელმძღვანელობას და თვეში ერთხელ მაინც იგზავნება ინსტრუქტორი. მათი მდგომარეობა საერთოდ გაუმჯობესებულია.

ქალაქის მუშების ადგილკომი აერთიანებს 18 მუშას მათ მოდარაჯეობაში შედის ქალაქის ფურგონებში დატვირთვა გადმოტვირთვა. მუშაობა მათი სრულდება თანახმად გამგეობის მიერ შემუშავებულ ტარიფისა. მათ შორის ზოგიერთი ამხანაგები ეწეოდენ ლოთობას, რაც კავშირის გამგეობის მიერ იქნა გამოსწორებული. გამგეობის მიერ არის შემჩნეული ზოგიერთ ადგილკომებში მუშების მრავალრიცხოვანება და აგრეთვე არასასურველი ელემენტებიც

მუშკორი გიორგი ძნელაძე.

საჭიროა კანალიზაციის მოწყობა

(ადმასკომის საყურადღებოდ).

ნაძალადევის (ლენინის) უბანში ერთს არა სასიამოვნო მოვლენას აქვს ადგილი. ეს ერთი ძველისძველი ნაკლი, რომელიც თან სდევს ზოგიერთ მცხოვრებლებს ნაძალადევის მუშათა უბნისას, მართლაც რომ დაუშვებელია. ეს ნაკლი შემდეგში გამოიხატება: ნაძალადევის მცხოვრებლების უმრავლესობა აი რა დაუწვებელ საქმის სჩადის: ყოველივე პეტყიან და ბინძურ წყალს ისინი ასხამენ ან ქუჩებში, ან და თავიანთ ეზოებში და ამით დიდ შეცდომას უშვებენ თავიანთი თავის საზიანოდ უმეტესად ეხლა გაზაფხულში, როდესაც სიცხეები დგება, რითაც ხელს უწყობენ იმას, რომ მცხოვრებლებში გაჩნდეს სხვადასხვა გვარი ეპიდემიური სენი, რადგანაც მეტი იზრდება, რაც საშინლად მავნებელია ადამიანის ორგანიზმისათვის. მუშათა უბანში ზემოხსენებულ გარემოებას თუმცა აქვს მიქცეული ყურადღება ადმინისტრაციისაგან, მაგრამ, რა გამოვიდა, როდესაც თვით მცხოვრებლებს ვერ გამოუნახავთ ისეთი დასაყრდნობი საშუალებები, რომ ეს ნაკლი თავიდან მოიშორონ, ამ ნიადაგზე, ესე იგი (ბინძური და პეტყიან წყლების დასხმაზე) ხდება დიდი უსიამოვნება მეზობლებს შორის. ამიტომ საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ადმასკომმა კანალიზაციის მოწყობით და შეუმსუბუქოს ნაძალადევის მუშა მცხოვრებლებს ეს გაჭირვება.

მუშის შვილი ვლ. [illegible]

მუშკორ გ. მამულის საყურადღებოდ

გაზეთ „კომუნისტის“ № 89-ში მოთავსებული წერილის საპასუხოთ და სიმართლის აღსადგენათ, ტყვარჩელის კომუჯრედი აცხადებს, რომ 13 აპრილს გამართული დიდი ინტერნაციონალური საღამო მესამე რაიკომის უმუშევარ ამხანაგების სასარგებლოდ, ჩატარდა მშვენივრად და მხიარულად. საღამოს მოსაწყობი კომისია შესდგებოდა პარტიულ ამხანაგებისაგან. ერთი ერთი პირდაპირი ხელმძღვანელი იყო პასუხისმგებელი მდივანი ტყვარჩელის ძველი გამოცდილი სცენის მოყვარე ამხ. ს. ტროდატიანი, რომელსაც სხვა ამხანაგებთან ერთად კარგად ესმის, თუ რა არის მუშათა კლუბში დასაშვები და რა არა. მუშკორის შენიშვნა კი ეხება პირად ხელმძღვანელს ამხ. შაქრო ტალიკაძეს, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ არის საყვედურის ღირსი ის მხოლოდ მადლობის ღირსია და კომუჯრედმა თავის სხდომაზე დაადგინა მადლობა გამოუცხადოს დაუღალავ შრომისთვის ხელმძღვანელს ამხ. შაქრო ტალიკაძეს. საღამოს მომწყობი კომისია თავის მხრივ მადლობას უცხადებს საღამოს ხელმძღვანელებს: სარქის ტროდატიანს, შ. ტალიკაძეს და ა. დვალიშვილს და აგრეთვე ყველა მათ, ვინც პირადი მონაწილეობით, ან სხვა მხრივ ხელს უწყობდა დიდებულ საღამოს მოწყობაში.

ადგილკ. კ. უჯრ. მდივანი.

მუშების წერილები მიზანს აღწევენ.

(ადმასკომის [illegible])

შესახებ წერილისა, რომელიც მოთავსებული იყო „კომუნისტი“-ს მე-68 ნომერში სათაურით „ეს აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს“, თბილისის ადმასკომის ადმინისტრატ. სამოქალაქო ქვე განყოფილებამ მომართვით ამ—9 მაისიდან მე-1137 ნომრით გვაცნობა, რომ მათ მიერ მიღებულია საჭირო ზომები ამ წერილში აღნიშნულ დეფექტების მოსასპობად.

ინფორმატორი გარდახანიძე.

ნიმული გზა-ტკეცილის პირას. ჰაგანა კი ჩხენიშის და ხუნჯულორის სოფლებით, 800 კომლი მცხოვრებით, წარმოადგენდა ერთ თემს, შიგ შუაგულ ჰაგანში იყო სასოფლო სამმართველო, სკოლა, ბანკი, კოოპერატივი და სხვ ეს ორი თემი დიდი ხნით ეცილებოდა შესაძლო ხარისხებული თავიანთ პატარა სოფლებით და, რაც სანიტარიისათვის, ამ ორ თემში ცხენის წყლის მდინარიდან გამოყვანილ იქნა დიდი არხი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფილ იქნა ყველა. ამ ორი თემში არსებობს, ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის დროიდან, ბიბლიოთეკა სამკითხველოები, სადაც მოგვდიოდა წიგნები, ჟურნალ გაზეთები.

დრონი იცვალნენ, თვითმპყრობელობა მოისპო, ხალხმა ამოისუნთქა. და სამართლიანი მოთხოვნილებაც სოფლების დაკმაყოფილებულ იქნა: ჰაგანს ჩამოშორდენ ჩხენიში და ხუნჯულორის მცხოვრებნი, რადგან ისინი 5—6 ვერსის მანძილით იყვნენ ჰაგანზედ დაშორებულნი. დარჩა წმინდა ჰაგანი, რომელიც შესდგება და 500 კომლი მცხოვრებისაგან. მაგრამ ნიადაგი—ციხე შიგნიდან გატყდება, ჰაგანსაც ასე მოუვიდა: რამოდენიმე კაცმა, ეგრედ წოდებულ „აქტივისტებმა“, ჰაგნელებმა და ლანირელებმა მოილაპარაკეს და ჰაგან ლანირის შუა საყანე ადგილზედ „ვერხვის მინდორში“ დაარსეს კოოპერატიული ვაჭრობა, ამან გამოიწვია წევრათ ჩაწერა კოოპერატივში ჰაგნიდან 180 მოსახლის, ხოლო ლანირიდან 200 მეტის და ამრიგად დაიბადა ახალი თემი ლანირ ჰაგანი, რომლის არსებობას მცხოვრებთათვის არავითარი ეკონომიური წარმატება არა მოაქვს, თუ მხედველობაში იმ შრომას, ხარჯებს, საჩივრებს და მთავრობის შეწუხებას, რაც აწევს კაცებზედ ამ ახალ გამოჩეკილ ლანირ ჰაგანის თემს.

დღეს ლანირ ჰაგანს უნდა მოსპობ ლანირ-ქვეტარის თემი, მაგრამ ლანირ-ქვეტარი მაგრად არის და მდებარეობაც ხელს უწყობს. თან მთავრობაც ყურადღებით ეკიდება ლანირ ქვეტარის საქმეს და ამიტომ ამ ორ თემ შორის სულ საჩივრები, აყალ-მაყალი, დავა და ათასნაირი ხორცი არის. საქმე ჯერაც არ გათავებულა:

ჰაგანი კი ისე დასუსტდა ამ „აქტივისტების“ წყალობით, რომ იძულებული შეიქნა ადმინისტრაციულათ მიკედლებოდა ჯულაშის თემს. ხოლო კოოპერატივი ჰაგანის დაუკავშირდება ლანირ-ჰაგანის კოოპერატივს, საიდანაც მოგვდის წვრილმანი საქონელი და, რაც უფრო საჭიროა, ფართლეული არ მოგვდის. ამის გამო ჰაგანის მცხოვრებნი გულ-აცრუებულნი არიან კოოპერატივზედ და მოითხოვენ, რომ ჰაგანის კოოპერატივი მოიხსნას ლანირ-ჰაგანის კოოპერატივიდან და პირდაპირ ჰქონდეს საქმე სამტრედიის ცეკავშირთან, რომ იქიდან მიიღოს საჭირო და ზედმეტ ფასებში არ იქნეს ნაძარცვი.

კოოპერატივს ვაჭრობა შარშან გადატანილ იქნა ბიბლიოთეკა სამკითხველოს შენობაში, ამ ჟამადაც იქ არის ამის გამო ჰაგნის მცხოვრებთ არ მოგვდის არც ჟურნალი, არც გაზეთი.

უმაღლესი ხელისუფლება მოწადინებულია ყველა თემებში არსებობდეს კოოპერატივი და იყვეს ბიბლიოთეკა სამკითხველო ჟურნალ-გაზეთებით, მაგრამ ზოგიერთ ფაქტორის წყალობით ჰაგნის თემს არც კოოპერატივი, არც ბიბლიოთეკა-სამკითხველო არ მიეპოვება.

მურთაველი.

ქ. სურამი

კვირას, 11 მაისს, მუშათა კლუბის დარბაზში შესდგა უპარტიო ქალთა კრება, ხაშურის ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლის ამხ. ბარბარე ჯოხაძის და სურამის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ალ. ბარბაქაძის თანადასწრებით, კრებას დაესწრო 120 ქალამდის. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) საბჭოთა ხელისუფლება და ქალი; 2) რა როლი ითამაშა ქალმა რევოლუციაში; 3) ორგანიზატორის გამოყოფა; 4) უპარტიო ქალთა სასარგებლოდ საღამოს ჩამტარებელ კომისიის გამოყოფა და 5) მიმდინარე საკითხები. პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ბარბარე ჯოხაძისა, ის ვრცლათ აცნობს კრებას, თუ რა მოუტანა ქალს საბჭოთა ხელისუფლებამ მეორე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ალ. ბარბაქაძე, რომელიც დაწვრილებით და გასაგებ ენაზე მოუთხრობს ქალის როლს რევოლუციაში, და იწვევს გამოითქვამს, რომ მშრომელი ქალები მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვების საქმეში.

ორგანიზატორად გამოყოფილ იქნა ამხ. მართა გელაშვილისა და კანდიდატად ლელია თევზაძისა.

საღამოს ჩამტარებელ კომისიაში არჩეულ იქნენ: ამხ. ალ. ბარბაქაძე, ვერა ძაგნიძე, დარია გელაშვილი, მარკანუშ ლოტაევი და ანეტა გვენცაძე

მიმდინარე საკითხებში იყო წამოყენებული სხვა და სხვა საკითხები, რომლებიც გარკვეულ გადაჭრილი იქნა.

ი. გაგოშიძე.

თავის გამართლებაც ასეთი უნდა

(წერილი რედაქციის მიმართ)

ჩემს ბიბლიოგრაფიას, როგორც ჩანს, ძალიან ცუდ გუნებაზე დაუყენებია ლენინის ნაწერების ქართულ გამოცემის სარედაქციო კოლეგია. ის დიდი რისხვით აცხადებს გაზ. „კომუნისტის“ 107 № ში, რომ მან „უსამართლოთ და სრულ გაუგებრობათ მიაჩნია ამხ. კომუნაძის ასეთი გამოსვლა პრესაში“ და „შეუძლია ლენინის გამომცემლობის საქმეს მოუტანოს დიდი ზიანი. ამასთან ერთად მას შეაქვს დეზორგანიზაცია მარქსისტულ გამომცემლობის რთულ საქმეში, რასაც ჩვენ მთელი ენერგიით უნდა შევებრძოლოთ“.

საჭიროთ მიმაჩნია განვაცხადო შემდეგი: ჩემს ბიბლიოგრაფიაში მოყვანილი იყო სანიმუშოთ რამდენიმე ადგილი ლენინის პირველი წერილიდან (ისიც მხოლოდ პირველი გვერდიდან), რომლებიც ცხადყოფდენ თარგმანის უვარგისობას. ჩვენ არ ამოგვიწერია უკლებლივ ყველა ადგილები, რომლებიც მას ნაკლ თარგმანს წარმოადგენენ, ვინაიდან ამის მოთავსება ბიბლიოგრაფიაში ყოვლად შეუძლებელი იყო ტექნიკურათ. ამიტომ ჩვენ დავკმაყოფილდით სანიმუშოთ რამდენიმე ადგილის მოყვანით. არ იყო სწორი ეს ადგილები? მაგრამ მაშინ რატომ არ სცადა რედაქციამ მათი დარღვევა.

რედაქციამ, თუ მას არ უნდა „ლენინის გამომცემლობის საქმეს მოუტანოს დიდი ზიანი“, უნდა შეიგნოს თავისი შეცდომა და გაასწოროს ის სანამ გვიან არაა.

ასეთია ჩვენი გულწრფელი რჩევა.

ქ. კომუნაძე

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 19.

ამიერ კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

1924 წ. მაისის 14.

სიმინდის მტკიცე ნასყიდობის ფასის დაწესების შესახებ 1923 წ მოსავლის

საექსპორტო სიმინდის მტკიცე დასამზადებელი ფასის შესახებ მე 8 №-რით გამოცემული („ზარია ვოსტოკა“-ს 1924 წლის მარტის 2 თარიღის 517 №-რი) დადგენილების შესაცვლელად ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს.

სიმინდის მტკიცე ნასყიდობის ფასად დაწესებულ იქნეს 60 კაპ. დასავლეთი საქართველოსათვის, ხოლო კახეთისათვის—47 კაპ.—ფრანკო ერთიანი მომხმარებელი საზოგადოების საწყობი რკინიგზის სადგურზე. იმ სიმინდის ფასი, რომელიც ჩაბარებულ იქნება სოფლად, შემცირებულ უნდა იქნეს იმდენზე, რაც ღირება სიმინდის გადაზიდვა ერთიანი მომხმარებელი საზოგადოების საწყობამდე რკინისგზის სადგურზე.

ამიერ კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე
მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. ივანიშვილი,

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მდივანი
ნ. სოკოლსკი.

დადგენილება № 14

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სამკურნალო-სანიტარო საქმის გაუმჯობესების შესახებ.

1. კვლავ დადასტურებულ იქნეს საზოგადოდ, რომ მთლად სამკურნალო-სანიტარო საქმის მართვა გამგეობა ერთიანად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების ხელშია.

2. სახალხო კომისართა საბჭო მთავარ მიზნად სთვლის ქვეყნის მშრომელ ცოცხალ ძალების დაცვას და მთლად მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას; ამისათვის იგი წინადადებას აძლევს ხელისუფლების ყველა ორგანოს ყოველგვარი დახმარება გაუწიოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს და ჯანმრთელობის განყოფილებათ მათ მიერ წარმოებულ მუშაობაში.

3. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს წინადადება ეძლევა, პროფესიონალურ კავშირებისა და დამზღვევი კასების მონაწილეობით, ყოველი ღონისძიება იხმაროს, რათა მუშებისათვის, განსაკუთრებით კი ჯანმრთელობისათვის მავნე წარმოების მუშებისთვის, უზრუნველყოფილ იქნეს ყოველგვარი სამკურნალო-სასანიტარო დახმარება.

4. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის და მისი ჯანმრთელობის განყოფილება მოვალეა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ სოფლის მოსახლეობას გაუწიოს სათანადო სამკურნალო და სასანიტარო დახმარება; შეაჩეროს მომავალში საუბნო ქსელის შემცირება სოფლებში და იხმაროს ღონისძიება არსებული ქსელის გასაუმჯობესებლად, კერძოდ და, უწინარეს ყოვლისა, მიაწოდოს სოფლის სამკურნალო დაწესებულებათ საჭირო მედიკამენტები და აგრეთვე გააუმჯობესოს საექიმო პერსონალის განსაკუთრებით საუბნო პერსონალის, მატერიალური მდგომარეობა.

5. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი არსებული კოდექსისა და მის დანართებისდა თანახმად გამოცემულ კანონთა საფუძველზე მოვალეა მიიღოს ღონისძიება:

ა) რათა სამკურნალო დაწესებულებათ, კერძოდ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს, ლეპროზორიებს და სანატორიუმებს მიეცეს საჭირო მიწ-ს ნაკვეთები კარმიდამოსათვის და სამკურნალო მიზნებისათვის.

ბ) რათა აღნიშნულ სამკურნალო დაწესებულებათ სასურსათო საჭიროების დასაკმაყოფილებლად მიეცეთ შეღავათიან პირობებში სახელმწიფო მიწებიდან სათიბები, საბოსტნე და სხვ. ადგილები.

6. რადგანაც ზოგიერთ მაზრის ადგილებში სამკურნალო-სასანიტარო ქსელი ნაკლებ არის განვითარებული და ადგილობრივი ბიუჯეტიც სუსტია, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში ევალება, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, დააწესოს ასეთ ადგილებში, როცა ეს საჭირო იქნება, მიზნობრივი დოტაცია სამკურნალო-სასანიტარო საქმისათვის.

7. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის განყოფილებას ევალებათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოზარდი თაობის ჯანმრთელობის დაცვას, კერძოდ მტკიცედ განახორციელონ საექიმო შემოწმება სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოში, დაწესებულებებში და მეურნეობაში მომუშავე მოზარდი თაობისა და აგრეთვე ყველა უმუშევარის, რომელიც შრომის ბირჟაში ირიცხება. თუ მოზარდის ჯანმრთელობა არ შეეფერება მისი მუშაობის სიმძიმეს, საჭიროა იგი გადაყვანილ იქნეს უფრო ადვილ სამუშაოზე. მოზარდთა საექიმო შემოწმება უნდა ხდებოდეს პერიოდიულად ერთხელ მაინც წელიწადში.

8. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დაწესებულებათა და აგრეთვე ყველა სამკურნალო-სასანიტარო, სამეცნიერო და საჩვენებელ დაწესებულებათა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაარსდეს აღნიშნულ დაწესებულებებში სპეციალური ფონდი იმ თანხებიდან, რასაც ეს დაწესებულებანი მიიღებენ კერძო პირთა და საწარმოთაგან. ეს ფული უნდა დაიხარჯოს მარტოოდენ სამკურნალო-სასანიტარო საქმის გაუმჯობესებისა და გაფართოებისათვის. ამ მიზნით ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს წინადადება ეძლევა, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის, რწმუნებულთან (საქართველოში) ერთად შეიმუშაოს სათანადო ინსტრუქცია და დებულება.

9. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ევალება შრომის სახალხო კომისარიატთან და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ცენტრალურ გამგეობასთან ერთად, იხმაროს ყოველგვარი ღონისძიება სახელმწიფო მინიმუმზე დატოვებულ საექიმო მომუშავეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

10. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ევალება, სათანადო უწყებებთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების სათანადო შეფარდებისათვის.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ლ. ღოღობერიძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ალ. ხალვაძე.

1924 წ. აპრილის 28.
ტფილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს წარმოადგინონ რაიკომში არა უგვიანეს ხუთშაბათს 22 მაისისა დილის 10 საათისათვის საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიონის დაწესებულებების კომუჯრედების გასინჯვის მასალები.

ცეკავშირი—მედვედევი, „ცენტროსოიუზი“-პეველოვი, მილიცია-ჯანიბახჩევი საქართ. სახელმწ. ფუ ვაჭრობის სამმართველო—პროკოფიევი, მუშკოპი—როტინოვი, მიხეილის საავადმყოფო-პეტროვსკაია, ალექსანდრეს საავადმყოფო—გრიმჩენკო, პროლეტკულტი—ლიდია კამალოვა, სახელმწიფო უნივერსიტეტი-ორახელაშვილი მარია, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი-გრიშენკო, ხაზინა-ალამალოვი, მუშფაკი-ორახელაშვილი მარია, დამზღვევი კასა—ლევშიცი ბორის.

მდივანი მასხულია.

— არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ 21 მაისს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში მოწვეულია საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიონის დელეგატთა კრება.

დღის წესრიგში დასმულია ამხ. კოსტანიანის მოხსენება საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მუშაობისა და საკონტროლო კომისიის რეორგანიზაციის შესახებ.

მდივანი მასხულია.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იწვევს სამი დღის განმავლობაში მოსალაპარაკებლათ ამხ. ამხ. ზავარიანს და ვანო ცინცაძეს დილის 10 საათ. დღის 1 საათამდი.

თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპ. განყოფ. გამგე პენიაკოვი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება აცხადებს, რომ ოთხშაბათს 21 მაისს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში მოწვეულია

ქალაქის რაიონის ქალთა დელეგატების კრება.

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

ქალთა განყოფილების გამგე მიხურნოვა.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს ყველა იმ აგიტატორებს, რომელნიც რეგისტრაციაში არ არიან გატარებული თბილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში, ერთი კვირის განმავლობაში გამოცხადდენ რეგისტრაციაზე.

თბილისის კომიტეტის სააგ.-საპროპ. განყ. გამგე პენიაკოვი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განაწილებითი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტში:

1) ნ. მ. სმირნიცკი, 2) ს. ი. თოდრია, 3) ვ. მ-ქ ძე, 4) ს. მ. იტკინი, 5) ნ. სვინანცი, 6) ვლ. ჩახავა, 7) ი. ი. კოსტინი და 8) კირილე ბარამიძე.

თბილისის კომიტეტის საღრიცხვო განაწილებითი განყოფ. გამგე რახმანი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს პარტიაში ახლათ მიღებულ წევრების პოლიტიკური ცოდნის გამოსაცდელ სკოლების ყველა იმ ხელმძღვანელებს, რომელნიც არ გამოცხადდნენ შაბათს, 17 მაისს თათბირზე, გამოცხადდენ სამი დღის განმავლობაში თბილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში დილის 10 საათიდან დღის 1-ლ საათამდი.

თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო
განყოფილების გამგე პენიაკოვი

პროფესიული.

კომკავშირის მიერ კავშირების ცენტრალურ გამგეობებში, სამაზრო პროფბიუროში, პროფკავშირთა საბჭოში და რკინისგზელთა საუბნო პროფკავშირში გაგზავნილ წარმომ. დელეგატთა კონფერენცია გაიხსნება დღეს, სამშაბათს, 20 მაისს, დილის სრულ 9 საათზე, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს წითელ დარბაზში.

დელეგატების გამოცხადება დაუგვიანებლივ სავალდებულოა.

— განათლების მუშაკთა სახლში: ამხ. დუდუჩავას ლექციები ისტორიულ მატერიალიზმზე გაიმართება სამშაბათობით. მორიგი ლექცია სამშაბათს, 20 მაისს საღამოს 6 ს.

სამშაბათს, 20 აპრილს, საღ. 7 ს. პროფ. თვალჭრელიძე გააკეთებს მოხსენებას ბათომის მხარის ნიადაგის მინერალების შესახებ.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ნიკოლოზ მალაქიას ძე და სოფიო როსტომის ასული დები, ნადია და თამარა დუჩიძეები მამიდაშვილი გიორგი მიხეილის ძე ჯაბადარი თავისი მეუღლით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს უდროოთ გარდაცვალებას ძვირფასი შვილის

მიხეილ (მიშა) ნიკოლოზის ძე
დუჩიძე

პანაშვიდი დღეს, 20 მაისს, საღამოს 7 საათზე, დაკრძალვა ცალკე იქნება გამოცხადებული. 1008 2—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ქაიხოსრო [illegible], შვილები: ბარბარე ვიქტორ ზინაიდა, ვლადიმერი, ანტონი (ტუტუშა), რძლები: მარიამ დიმიტრის და ეკატერინე კონსტანტინეს ასულნი შვილებით, სიძე ევგენი აპოლონის-ძე მიქელაძე, [illegible] აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ [illegible] 18 მაისს უეცრად გარდაიცვალა [illegible]

პელაგია კონსტანტინეს ასული ჯაფარიძისა

ცხედარი წასვენებული იქნება ტრამვაის ქუჩიდან (სახლი № 1) თბილისის სადგურზე და შემდეგ სოფ. ობჩა-ში, სამშაბათს, 20 მაისს ნაშუადღევის 5 ნახ. ს, რა დროისათვისაც დანიშნულია პანაშვიდი. დაკრძალვის დღე (ადგ.) იქნება გამოცხადებული 1009 1—1

ს. მ. უ. ს.
პოლიგრაფიული განყოფილება
გადავიდა
16 მაისიდან ბროსსეს ქუჩაზე № 2
სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ყოფილ ექსპედიციის შენობაში. 1143 3—2

სავალდებულო დადგენილება № 66

მ. გ. და წითელარმიელთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა

„16“ მაისი 1924 წ.

[illegible]

1. დღიდან ამ სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნებისა შემოღებულ იქნეს განსაზღვრული ფასი ეტლებით მიმოსვლაზე, სახელდობრ:

1) ერთ ადგილამდის (კონცი)		60 კ.
2) სადგურამდი	1 მან.	
3) სადგურიდან	1 „	50 „
4) ქალაქში სხვადასხვა მიმოსვლა გაჩერ. (საათში)	1 „	20 „
5) იგივე გაუჩერებლად (საათში)	1 „	50 „
6) სეირნობა შეთანხმებით		
7) ქალაქის განაპირა უბნებში შეთანხმებით მაგრამ არა უმეტეს	1 „	50 „ (საათში)

შენიშვნა: განაპირა უბნებათ ითვლებიან: ორთაჭალა, ნავთლუღი, (სახელმწ. ჰოსპიტალის იქით) საბურთალო და ვაკე, მდინარე ვერის ხიდის იქით.

8) ღამის პირველი საათის შემდეგ ფასი გადიდებულია ერთნახევარჯერ:

2 [illegible] კოოპ-მომხმარ ქ. განყოფილებას საწრაფოდ დაამზადოს სპეციალური ქარხნები სამიმოსვლო ფასების ტარიფით, რის შემდეგ [illegible] მეეტლეებს დაუყოვნებლივ შეიძინონ აღნიშნული ტარიფები, და მამაგრონ ისინი წინა საჯდომის წინ თვალსაჩინო ადგილას

3 ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან ორი თვით დაპატიმრებით, ან ჯარიმით 100 მანეთამდე.

4 მილიციას ევალება მიიღოს ზომები ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარე: ხუხაშვილი.
ბაზრის ფასების მაწესრიგებელ კომისიის
თავმჯ. მოადგილე რუხაძე
პრეზიდიუმის მდივანი: [illegible]

1—1 6 1149

ს. მ. უ. ს. ს. სასინჯო პალატა

(Пробирная Палата)

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს 22 მაისს, დღის 12 საათზე, პალატის შენობაში (თავისუფლების მოედანი ყოფ. თამამშევის ქარვასლა მე 3 სართული) დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სასამართლოს მიერ კონფისკაციის წესით ჩამორთმეული ოქრო ვერცხლის ნაწარმოების.

1007 1—1 სასინჯო პალატის გამგე ა. ნიშნიანიძე

წალკერში და კეჩხობში

საავგარაკო ნაკვეთების მოიჯარადრეთა საყურადღებოთ

კურორტთა მთავარი სამმართველო ამით მოაგონებს საავგარაკო ნაკვეთების მოიჯარადრეთ, რომ ისინი ვალდებულნი არიან შემოიტანონ სამმართველოს სალაროში—(თბილისი, სასიონის ქუჩა № 30) ან ბორჯომში საკურორტო ხელშეკრულობით გათვალისწინებულ ვადაში საიჯარო ქირა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოიჯარადრეთა შესახებ მიღებულ იქნება ზომები, რაც გათვალისწინებულია პირობების მე-3 მუხ.: ჯარიმა, იჯარის გაბათილება, შენობების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა და სხვ.

კურორტთა მთავარი სამმართველო
ნ. 1148 3—1

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დიათერმია
მიხეილ გედევანიშვილის სახელობისა
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ [illegible]
ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალოს აწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღ.
[illegible] ტფილისი, [illegible] ქ. № 20. 126—25 11

ექიმი გ. გ. მეზრაბიანი
შინაგანი, გულისა და ფილტვით დაავადმყოფებულნი. სპეც. [illegible] წამლობა—შეშხაპ. 914. ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა
რენტგენის სხივებით
დღ. 9—1 ს. დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.
895—25—14

დაკარგა განათლების მუშაკთა კავშირის და დამზღვევი კასის წიგნაკები არუსიაკ ტიგრანის ასული მანდჟიეროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1

დაკარგა ფული და მასთან შემდეგი მოწმობები: შრომის ბირჟის ბარათი, პირველი საერთო განათლების კურსების მოწმობა და პირადობის ნუსხა, მიცემული მე 3 უბანში ანეუპოლისტო დ[illegible]ნელიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად

დაკარგა პირადობის მოწმობა მიცემული სოფელ ლეძაძამი, ნოქალაქევის თემი, არტემ სიმას ძე ძიძამიას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 1006 1—1

დაკარგა დამზღვევ კასიდან მიცემული დაზღვევის წიგნაკი, ვ[illegible]სასი ონისიმეს ასულის ჩხეიძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაკარგა პირადი წიგნაკი № 3585, მიცემული მე 9 სამილიციო რაიონიდან არსენულ სამხედრო მაგიდიდან, შაქრო კალხიდაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1005 1—1